# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№122 (9802) 2024 წლის 25 ოქტომბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი





## იდიდე, მშვიდობავ!

კვლავ კიდევ
და კიდევ
ახადე
ბნელს რიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

გრდემლს სცემდე
თუ მკიდე,
მუხანათს
შიშს ჰგვრიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

მთის კიდედ,
ზღვის კიდედ
სახალხო
გმირთ ზრდიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

სინათლის
სიწმინდეს
ვარდებად
გვიწვდიდე!
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!

1948წ.

# „ქართული ოცნება“ ნიშნავს მშვიდობით და სიცოცხლით სავსე საქართველოს!




## „ოცნება“ – მხოლოდ უმრავლესობით!

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, კონსტიტუციის დონეზე ავკრძალავთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის წინაშე ჩადენილი, მათ შორის, ყველაზე მძიმე – ომის დანაშაულის გამო, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს კანონის სრული სიმკაცრით ვაგებინებთ პასუხს;

კონსტიტუციის დონეზე გავამყარებთ არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხს;

კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება;

არავის მივცემთ საშუალებას, რომ საჭირო დროს, საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანებისთვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებს აღუდგეს წინ!

მოკლედ, ყველაფერი დღესავით ნათელია – 26 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დგება სამშობლოს შენარჩუნების, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გადამწყვეტი დღე...

## სომხეთი რუსეთს უფრთხის, მაგრამ... გაყრას ვერ ბედავს!



8

## დავითაიას არქიტექტურული „პროცესი“ 90-ს უახლოვდება

6-7

## სვებედნიერი



საქართველოს რესპუბლიკა

ერთსულოვნებით — არჩევნებზე!

# „ქართული ოცნება“ ნიშნავს მშვიდობით




## „ქართული ოცნების“ დასკვნითი საარჩევნო თავყრილობა დედაქალაქში

**ტრადიციისამებრ შეხვედრაზე გამოვიდნენ პარტიის ლიდერები – ირაკლი ღარიბაშვილი, მამუკა მდინარაძე, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი, ირაკლი კობახიძე, პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, რომლის გამოსვლას დღეს გთავაზობთ.**

**...უკვე საუკუნეებია, თბილისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გადაკვეთის წერტილი, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია! რაც მთავარია, თბილისი კრებს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის შვილებს და ქართული მრავალფეროვნებაც ყველაზე მეტად აქ იგრძნობა. ასეთი ბედი ხვდა წილად ქალაქს, რომლის ისტორიული მნიშვნელობა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი, რომ ევროპისთვისაც ძალიან დიდია!**

განსხვავებულის მიღებისა და პატივისცემით განთქმულ ჩვენს დედაქალაქში ასწლეულებია ჰარმონიულად ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, გვერდიგვერდ დგას ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა. ამ ქალაქში ერთმანეთის კულტურის, ტრადიციებისა და ადათ-წესების პატივისცემა საუკუნეებია დაუწერელ კანონადაა ქცეული.

ყოველივე ეს, ისევე, როგორც მხოლოდ თბილისისთვის დამახასიათებელი ეშხი, სტუმარ-მასპინძლობა და გულისხმიერება უნიკალურ კოლორიტს სძენს ჩვენს დედაქალაქს, ასე რომ გვიყვარს ჩვენ და ასე რომ აოცებს აქ ჩამოსულ სტუმარს.

ასეთია ჩვენი თბილისი, ჩვენი ქვეყნის გული, სათუთად რომ ინახავს ჩვენს ყველა გამარჯვებას და ტკივილს.

ყველაფერთან ერთად, თბილისში ყველაზე უკეთ იგრძნობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური გულისცემა და დიდწილად სწორედ თბილისი განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ მომავალს. ასე იყო წარსულშიც და ასეა ახლაც.

კარგად მახსოვს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის პირველი დღეები, როდესაც თბილისში, სადაც ხშირად სწორედ ქუჩაში წყდებოდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, ქუჩაში ხალხის შეკრებასა და საპროტესტო აქციის გამართვაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო, რადგან 15-20 კაციც კი ვერ ბედავდა გამოსვლას.

აი, ამგვარ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში, ჩვენი მოსახლეობის ერთიანობამ და გამბედაობამ შეგვაძლებინა, რომ 2012 წლის არჩევნებამდე 2 დღით ადრე, მთელი საქართველოდან, ნახევარი მილიონი პატრიოტი მოეფინა თბილისის ქუჩებს, რათა ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ არავის და არაფრის გვეშინია!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნის ბედი წაღმა დატრიალდა!

თუმცა, სანამ კონკრეტულ მონაცემებზე, ციფრებსა და საერთაშორისო რეიტინგებზე ვისაუბრებთ, ვახსენოთ ისიც, რაც შესაძლოა ახალმა თაობამ არ იცოდეს, ან აფიქრებინონ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის შეფასება გადაჭარბებულია:

2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მართავდა გარე ძალების მიერ კონტროლირებული რეჟიმი. ტერორი, ძალადობა, მკვლელობა, წამება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ბიზნესის რეკეტი, ქვეყნის ყოვლდღიურობა იყო.

მიტაცებული სახელმწიფო, ბოლომდე ჩამკვდარი პოლიტიკური პროცესი, ოპონენტების დევნა და ფიზიკური ანგარიშსწორება; წამების ინსტრუმენტად ქცეული მართლმსაჯულების სისტემა, ციხე, როგორც ჯოჯოხეთი; მონოპოლიზებული და პარტიულ ინტერესს დაქვემდებარებული მედია, პრეზიდენტს, სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის წაშლილი ზღვარი.

ასეთი კატასტროფული რეალობა სუფევდა საქართველოში წლების განმავლობაში, თუმცა, უცხოელი პატრონების მხარდაჭერით, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა გაცილებით უარესიც გააკეთა – საკუთარი ხალხისა და ისტორიის წინაშე უპატიებელი ღალატი ჩაიდინა და 2008 წელს ქვეყანას ომის ტრაგედია დაატეხა თავს!

სულ რამდენიმე დღეში, საქართველომ დაკარგა ასობით გმირი მებრძოლი და მშვიდობიანი მოქალაქე, დამატებით, ტერიტორია – ასზე მეტი სოფელი და დასახლებული პუნქტი, ათეულ ათასობით ადამიანი კი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა.

ამას დაემატა ისიც, რომ პრაქტიკულად საომარი მოქმედებების პარალელურად, ჯერ წაგებული ომი აზეიმეს მოსახლეობას, შემდეგ კი ევროსაბჭოს რეზოლუციაზე ხელმოწერით და ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, საომარი მოქმედებების დაწყება აღიარეს!

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ბოროტებისა, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს სჩადიოდა, თუმცა, მათი რეჟიმის შესაფასებლად, ესეც კმარა.

**2012 წლის 1 ოქტომბრის, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს და ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობით, თავისუფლება დავიბრუნეთ და საფუძველი ჩავუყარეთ სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული ქვეყნის მშენებლობას, სადაც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი... შესაბამისად, ხალხი თავისუფლად სუნთქავს და აღარავის აქვს პოლიტიკური დევნის შიში.**

და მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობისგან“, მრავალი თვალსაზრისით, უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო, პრაქტიკულად, შეუძლებელი შევძელით და პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით.

დღეს, ჩვენი საარჩევნო კამპანიის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, თავს ვალდებულად მივიჩნევ, ერთგვარი ანგარიში ჩაგაბაროთ და ფაქტების დონეზე კიდევ ერთხელ გაგაცნოთ ის წინსვლა, რაც 2012 წლის შემდეგ გვაქვს. შეფასება კი, 26 ოქტომბერს, საარჩევნო ყუთებთან თქვენთვის მომინდვია.

**2012 წელს, საქართველოს ეკონომიკა 28 მილიარდ ლარზე ნაკლები იყო, 2024 წელს 90 მილიარდ ლარს შეადგენს;**

**2012 წელს, საქართველოს ბიუჯეტი 8.5 მილიარდი ლარი იყო, 2024 წელს თითქმის 28 მილიარდი ლარია;**

**2012 წელს უმუშევრობა 26.7% იყო, 2024 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი განახევრებულია;**

**2012 წელს საშუალო ხელფასი 712 ლარი იყო, 2024 წელს კი 2000 ლარს გადააჭარბა;**

**2012 წელს, პენსია შეადგენდა 125 ლარს. 2024 წელს პენსია დაახლოებით 3-ჯერ არის გაზრდილი, მომავალი წლისთვის კი, წლევანდელი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება რომ ჩვენს საყვარელ პენსიონერებს, ყოველთვიურად, 350 და 450 ლარი ჰქონდეთ.**

**2012 წელს ჩვენი მოსახლეობის 30%, აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა, 2023 წლისთვის კი აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი თითქმის სამჯერაა შემცირებული!**

**2012 წლის ბოლოს, ფიზიკური პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა შეადგენდა 846 მილიონი ლარს, დღეის მდგომარეობით მონაცემი თითქმის 13-ჯერ გაიზარდა და 10 მილიარდ 700 მილიონი ლარია.**

2012 წლის ბოლოს, ფიზიკური პირების მიერ, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა შეადგენდა 3 მილიარდ 26 მლნ ლარს, დღეის მდგომარეობით მონაცემი 6-ჯერ არის გაზრდილი და 18 მილიარდ 780 მილიონ ლარს შეადგენს. ასეთი პროგრესი არა მხოლოდ ადამიანთა შემოსავლის ზრდას ადასტურებს, არამედ, ნათელი მაგალითია, თუ რა დონეზე გაიზარდა სანდოობა სახელმწიფოს და „ქართული ოცნების“ მთავრობის მიმართ.

2012 წლამდე, საქართველოს მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის პრობლემა გაღატაკებას ან პრაქტიკულად, დაღუპვას ნიშნავდა, „ქართული ოცნების“ საამაყო – საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებიდან მოყოლებული კი, ბიუჯეტიდან, საქართველოს 3 მილიონ 300 ათას მოქალაქეს ვუმკურნალეთ!

**2012 წელთან შედარებით, არნახული ზრდა გვაქვს ინფრასტრუქტურის მიმართულებით – მთელი საქართველოს მასშტაბით, შენდება უმაღლესი სტანდარტის, 4-ზოლიანი საერთაშორისო მაგისტრალები! მოხდა რკინიგზის მოდერნიზაცია და მისი გამტარუნარიანობის ზრდა; გაიზარდა და იზრდება თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტების მგზავრთა ნაკადი; იწყება ვაზიანის ახალი საერთაშორისო აეროპორტის და ანაკლიის პორტის მშენებლობა!**

2012 წელს, ტურიზმის შემოსავალი 1 მილიარდ 400 მილიონი დოლარი იყო; 2024 წელს კი 4.5 მილიარდ დოლარს შეადგენს;

2012 წელთან შედარებით, არნახულად გაიზარდა დაფინანსება სოფლის მეურნეობის მიმართულებით;

2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენი გლეხები და ფერმერები თავისუფლად სარგებლობენ სპეციალურად მათზე მორგებული სახელმწიფო პროგრამებით; შედეგად, რეალობიდან, როდესაც ღვინის სამშობლოში კახელი გლეხი ვაზს ჩეხავდა, მივიღეთ მოცემულობა, როდესაც ვენახების ფართობი მთელ საქართველოში 70%-ით არის გაზრდილი! 6-ჯერ გაიზარდა ყურძნის გადამუშავება, ღვინის ექსპორტი კი 65 მილიონი დოლარიდან - 259 მილიონი დოლარი გახდა;

2012 წელს ჩვენი მევენახეების შემოსავალი 70 მილიონ ლარს შეადგენდა, 2023 წელს კი 350 მილიონ ლარს მიაღწია;

2012 წლის შემდეგ, აშენდა: 63 ჰიდროელექტროსადგური, 2 თბოელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური; არსებული გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის საქართველო იქნება ენერგეტიკულად სრულად დამოუკიდებელი ქვეყანა!

2012 წელთან შედარებით, 4-ჯერ გაიზარდა განათლების სფეროს დაფინანსება; თვისობრივად გაუმჯობესდა სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, აშენდა ახალი სკოლები, ბაღები და რაც მთავარია, საშუალოდ 500 ლარით გაიზარდა ჩვენი ძვირფასი პედაგოგების ანაზღაურება.

2012 წლამდე, საქართველოს არ ჰქონდა რეალური ევროპული პერსპექტივა; „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ კი საქართველოს მოუპოვა უვიზო მიმოსვლა, შეთანხმება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი!

გარწმუნებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ამ პროცესს აუცილებლად მივიყვანთ ლოგიკურ დასასრულამდე და სწორედ ჩვენი ხელისუფლების პირობებში გახდება საქართველო ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, საქართველოს წინსვლასა და განვითარებაზე განსაკუთრებით



საქართველოს რესპუბლიკა

# და სიცოცხლით სავსე საქართველოს!

კარგად მეტყველებს ავტორიტეტული საერთაშორისო რეიტინგები და კვლევები; მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, ამიტომ, მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიტან მაგალითად:

„ატლანტიკური საბჭოს“ თავისუფლების და კეთილდღეობის 2024 წლის ინდექსით, საქართველო კეთილდღეობის ათწლიანი პროგრესით მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია, 11-წლიანი პროგრესით კი, მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის. და ეს იმ ფონზე, როდესაც 2012 წლამდე ქვეყანას მართავდა კაცი, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს მოსახლეობას კი არ ახმარდა, არამედ პირადი კეთილდღეობისთვის ხარჯავდა ხშირად.

სასამართლო მართლმსაჯულებაზე სახელისუფლებო თავდასხმებისგან თავისუფლებით საქართველო ევროპის საუკეთესო ათეულშია. და ეს იმ ფონზე, როდესაც 2012 წლამდე, სასამართლო სისტემა არათუ დამოუკიდებელი არ იყო, არამედ, იმდროინდელი ხელისუფლების ერთ-ერთ სადამსჯელო ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ხელისუფლების მხრიდან ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა; და ეს იმ ფონზე, რომ 2012 წლამდე ციხეებში თუ ქუჩებში მოქალაქეების წამება და მკვლელობა ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული;

სამოქალაქო თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მეცხრე, ევრაზიის კონტინენტზე მესამე, ევროპაში კი პირველ ადგილზეა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2024 წელს საქართველოში საერთაშორისო სიღარიბის დონე ახალ ისტორიულ მინიმუმამდე მცირდება და მაჩვენებლის 12-წლიანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია.

ვეცადე, მოკლე ანგარიშის სახით გადმომეცა თქვენთვის „ქართული ოცნების“ ძირითადი მიღწევების შესახებ, ახლა კი ვნახოთ, როგორ შთამბეჭდავ პროგნოზს აკეთებს მომავალზე საქართველოსთან დაკავშირებით მსოფლიო სავალუტო ფონდი – ათწლიანი ზრდის მონაცემების სამი მიმართულებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია! არ იჩქაროთ ახალ მონაცემებს მოგცემთ, კიდევ უფრო უკეთესს: ეს იმას ნიშნავს, რომ 2030 წლისთვის, მაღალი ალბათობით, საქართველო გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა მსოფლიო ბანკის გრადაციით – საქართველო ჩაეწერება მდიდარი ქვეყნების რიგში 2030 წლისთვის.

**დაბოლოს – მინდა, გაგაცნოთ უახლესი მონაცემები, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა: სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო მიმდინარე 2024 წელს ერთ სულ მოსახლეზე გასული 5-წლიანი რეალური ეკონომიკური ზრდით მსოფლიოში გადის მეორე ადგილზე და მთავარი: ასეთ ლიდერობას, ე.ი. მეორე ადგილს მსოფლიოში, შეინარჩუნებს ზედიზედ მომდევნო 5 წლის განმავლობაში 2030 წლამდე. ერთ სულ მოსახლეზე რეალური ეკონომიკის ზრდა არის უნივერსალური მაჩვენებელი ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების შეფასებისათვის საერთაშორისო მასშტაბით.**

**წინა გამოსვლებში საუბარი გვქონდა, რომ საქართველოს ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 2030 წლიდან გადააჭარბებდა ევროკავშირის 6 ქვეყანას, სავალუტო ფონდის უახლესი პროგნოზის მიხედვით კი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ეს შედეგი წელსვე დადგება და საქართველოს 2024 წელს ექნება უფრო დიდი მსყიდველუნარიანი ეკონომიკა ვიდრე ევროკავშირის 6 სახელმწიფოს.**

ყველა რეიტინგს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც სავალუტო ფონდის უახლეს პროგნოზს როდესაც გაეცნობი, თავი პოლიტიკოსად და ფინანსისტად რომ მოგაქვს და მაინც ჯიუტად იმეორებ, თითქოს ქვეყანა ჭაობში იმყოფება – ამას არაფერი ჰქვია, თუ არა თაღლითობა. ამ შემთხვევაში მე არ ვგულისხმობ სასამართლოს განაჩენს – ეს არის პოლიტიკური თაღლითობა – ხედავდე ქვეყნის წინსვლას და ჯიუტად ატყუებდე საზოგადოებას, რომ ქვეყანა თითქოს უფსკრულისკენ მიექანება; თვითონ გაარკვიეთ, რას ნიშნავს ეს. ცხადია, ამ ყველაფერს ჩვენი ხალხი კარგად ხედავს და თაღლითებს სათანადო ადგილს მიუჩენს რამდენიმე დღეში.

ამ პროგრესის და თვისობრივად გაუმჯობესებული ვითარების მიუხედავად, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, წინ მძიმე შრომა გველის.

მაგრამ, ნურაფრის შეგეშინდებათ!

მერე რა, თუკი პატარა ქვეყანა ვართ და არც ბუნებრივი რესურსებით ვართ მდიდარი, ჩვენი სიმდიდრე ჩვენი ხალხი, ჩვენი შრომისმოყვარეობა და ის საოცარი შეუპოვრობაა, დავითს გოლიათს რომ დაამარცხებინებს.

ქართველ ხალხთან, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად, „ქართული ოცნება“, ერთადერთი პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში, შეძლებს, რომ ღირსეულად ატაროს საქართველო ამ რთულ გზაზე, რათა დავიკავოთ ჩვენი კუთვნილი ადგილი განვითარებული, მდიდარი, დემოკრატიული მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიცხვში.

თუმცა, არის ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი, რომელიც განსაზღვრავს და განაპირობებს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაფერს.

მშვიდობას რა ფასი აქვს, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ, მათ შორის უახლოესმა წარსულმა კარგად გვასწავლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მშვიდობის ფასი არ ესწავლება უშუალოდ თბილისს, სადაც სამი ათეული წლის წინ, ქალაქის გულში, ქართველები ერთმანეთს ტყვიას ესროდნენ! აღარაფერს ვამბობ 90-იანი წლების სამხედრო კონფლიქტებზე და 2008 წლის ტრაგედიაზე, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაატეხა ქვეყანას თავს.

და ესეც კიდევ ერთი, ფუნდამენტური მნიშვნელობის განსხვავება „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის პერიოდსა და 2012 წლის 1 ოქტომბერს დაბადებულ საქართველოს შორის – „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო და ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რეგიონში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებების ფონზე, საქართველოს ასე ნანატრი მშვიდობა მოუტანა!

სახელმწიფოებრივად და საღად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც საქართველო რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას, მშვიდობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ესეც რომ არა, ქვეყნის განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი და ამას ის წარმატებაც მოწმობს, რასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ამ 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობის პირობებში მიაღწია.

თუმცა, მშვიდობას დაცვა და შენარჩუნება სჭირდება, მით უფრო დღეს, როდესაც გარე თუ შიდა მტრები გამალებით ცდილობენ, რომ საქართველოში მეორე ფრონტი გახსნან, ქვეყანა ომში ჩაითრიონ და ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!

ამიტომაც, ჩვენ ვიცავთ არა მხოლოდ მშვიდობას – დღეს, არამედ ვიცავთ სიცოცხლეს და პერსპექტივას, ჩვენი შვილების ნათელ მომავალს, რათა ვერავინ – ვერასდროს შეძლოს, რომ საქართველო საბრძოლო პოლიგონად და საკუთარი პოლიტიკური ვნებებისა და ვიწროპარტიული ინტერესების ასპარეზად აქციოს, რათა აღარასდროს მოგვიწიოს ქვეყნის ნულიდან შენება და მომავალმა თაობებმა მაინც არ განიცადონ ის ტკივილი და სიმწარე, რაც ომს და ნგრევას ახლავს თან!

რამდენჯერმე უკვე აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული – დღემდე, საქართველოს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რომ უცხოელ, თუ ადგილობრივ არაკეთილმოსურნეთა და რადიკალთა მხრიდან მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ.

**დღეს, ამ რთული გზის ბოლოს, როდესაც ქვეყანა თითქმის გავიყვანეთ სამშვიდობოს, ბრძოლის მთავარი ხაზი 26 ოქტომბრის არჩევნებზე გადის. უფრო მარტივად რომ გითხრათ, 26 ოქტომბერს დღის წესრიგში არა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის, არამედ საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დგას!**

თუკი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, რაშიც არა მხოლოდ მე, არამედ მთელი საქართველო, მათ შორის, ჩვენი ოპონენტებიც დარწმუნებულები არიან, არა მხოლოდ მშვიდობას შევინარჩუნებთ და ქვეყანას გადავარჩენთ, არამედ გავიმარჯვებთ, რადგან წინ განვითარების და აღმშენებლობის წლები და ევროკავშირში ინტეგრაცია გველის.

თუმცა, ამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბერს, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ქუდზეკაცი გამოვიდეთ და „ქართულ ოცნებას“, ერთადერთ რეალურ

**მშვიდობას რა ფასი აქვს, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ, მათ შორის უახლოესმა წარსულმა კარგად გვასწავლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მშვიდობის ფასი არ ესწავლება უშუალოდ თბილისს, სადაც სამი ათეული წლის წინ, ქალაქის გულში, ქართველები ერთმანეთს ტყვიას ესროდნენ! აღარაფერს ვამბობ 90-იანი წლების სამხედრო კონფლიქტებზე და 2008 წლის ტრაგედიაზე, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაატეხა ქვეყანას თავს.**



პოლიტიკურ ძალას საქართველოში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში დავეხმაროთ!

საზოგადოების მხრიდან მონიჭებული ამ ხარისხის ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, ჩანასახშივე ჩაახშობს რევოლუციისა და გადატრიალების გზით ძალაუფლების დაბრუნების, შემდეგ კი, საქართველოს ომში ჩართვის მიზნის მქონე კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი უცხოელი პატრონების გეგმებს! ამასთანავე, მთელს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახებს, თუ ვის ანდობს ქვეყანას ქართველი ხალხი, რომელიც არა მხოლოდ ღირსეულ ევროპულ მომავალს, არამედ, ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებს! ამას გარდა, რეგიონებში გამართულ შეხვედრებზე არაერთხელ, ვრცლად განვმარტე, თუ რატომაა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. დღესაც, კიდევ ერთხელ, მოკლედ შეგახსენებთ:

საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, კონსტიტუციის დონეზე ავკრძალავთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის წინაშე ჩადენილი, მათ შორის, ყველაზე მძიმე – ომის დანაშაულის გამო, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს კანონის სრული სიმკაცრით ვაგებინებთ პასუხს;

კონსტიტუციის დონეზე გავამყარებთ არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხს;

კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვის და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება;

არავის მივცემთ საშუალებას, რომ საჭირო დროს, საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანებისთვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებს აღუდგეს წინ!

მოკლედ, ყველაფერი დღესავით ნათელია - 26 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დგება სამშობლოს შენარჩუნების, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გადამწყვეტი დღე.

თქვენი შემხედვარე, მტკიცედ მჯერა, რომ დამაჯერებლად გავიმარჯვებთ და ერთად შევქმნით საქართველოს უკეთეს მომავალს!

მე კი გარწმუნებთ, რომ ჩემს პოლიტიკურ გუნდთან ერთად, ყველაფერს დავალაგებთ, ყველა ქარტეხილს ღირსეულად გადავლახავთ, ყველა გამოწვევას გავუმკლავდებით და საქართველოსთვის, ჩვენი ხალხისთვის, ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად იქნება!

ჩვენი ქალაქები, ჩვენი სოფლები არის და მომავალშიც აუცილებლად იქნება მშვიდობით და სიცოცხლით სავსე, რადგან „ქართული ოცნებაა“ ამის გარანტი!

**პირადად გაძლევთ პირობას, მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ – იქცევა რეალობად ქვეყნისა, ასე ძალიან რომ გვიყვარს, ქვეყნისა, რომელიც არის და იქნება დამოუკიდებელი, თავად განსაზღვრავს საკუთარი ხალხის ბედს და მისი აღმატებულება ქართველი ხალხის გარდა, არავის მისცემს უფლებას, უკარნახოს, რა არის საქართველოსთვის კარგი, რისი უნდა გვწამდეს და რა ღირებულებებით უნდა ვიცხოვროთ!**

**ჩვენ კი ვირჩევთ არა ომს, არამედ მშვიდობას, არა მონობას, არამედ თავისუფლებას, არა სიღარიბეს, არამედ კეთილდღეობას, არა ბუნდოვან, არამედ თანასწორობაზე დაფუძნებულ ღირსეულ ევროპულ მომავალს!**

**ჩვენ ვივლით მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!**

**შევძლოთ ერთად დადგომა და ვიცხოვროთ ერთიან, თავისუფალ და გაბრწყინებულ საქართველოში!**

**ბიძინა ივანიშვილი**
23 ოქტომბერი,
2024 წ.



## ირაკლი გოგავა:

# გაგანია ომში გვეპატიჟებიან ფიჩხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში — სულელი აქ არავინ არის!

**ოპოზიცია აანონსებს, რომ უცხოეთი აუცილებლად დაგვიწესებს სანქციებს, გაგვიუქმებს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას და თითქოს მზადდება საქართველოს სვიფტიდან გარიცხვა, ამ თემებზე FOR.GE ესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ირაკლი გოგავას.**

**გთავაზობთ ინტერვიუს დასასრულს, რომლის დასაწყისიც ჩვენი გაზეთის 121-ე (23 ოქტომბრის) ნომერში დაიბეჭდა.**



***— სანქციების შემოღებაზე რას იტყვით, გარკვეული სანქციები უკვე გამოცხადდა, უნდა ველოდოთ თუ არა მეტ სანქციას?***

— თუ ჭკუა აქვთ, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა გაამწვავონ პროცესები და საქართველოსთან ახალი ურთიერთობები დაიწყონ, რომელიც ჩვენი სუვერენიტეტის პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული. როგორც იყო ისე აღარ იქნება. ისინი ასეთ ურთიერთობებს მიჩვეულნი არ არიან, მაგრამ არა უშავს, ჩვენ მათ ამას ვასწავლით. პრობლემა დღევანდელი დასავლური ელიტის კომპეტენციაშიცაა. საოცარ შეცდომებს უშვებენ გლობალურ პოლიტიკაში. აშკარაა, რომ დასავლეთში მმართველთა ხარისხი გაუარესებულია, იდეოლოგიზებულია პოლიტიკის დიდი ნაწილი.

აქედან გამომდინარე, სანქციები, ალბათ, უფრო იქნება და ეს უნდა გამოვიყენოთ, როგორც შესაძლებლობა. შეხედეთ რუსეთს, 3,8 %-იანი ეკონომიკის ზრდა ურუნველყვეს შარშან და ეს სწორედ სანქციების წყალობით, რადგან ბევრი პროდუქტის იმპორტჩანაცვლება მოხდა. დღეს უკვე მსოფლიოში მე-4 ეკონომიკაა. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. მაგალითისთვის: ყოველწლიურად 160 მილიონი დოლარის უცხოურ სიგარეტს რატომ უნდა ვყიდულობდეთ?! აჭარაში, სამეგრელოში და ლაგოდეხში ტრადიციულად თამბაქო მოყავდათ, ქარხნებიც არის, ხარისხიც მიღწევადია.

ანრი ოხანაშვილი პარიზში თუ ვიზა ან მასტერ კარდს ვერ გამოყენებს, როგორმე გადავიტანთ ამ ამბავს. ივანიშვილს ზევით-ქვევით სეირნობა ისედაც არ უყვარს, სტაბილური კაცია და ტრადიციულად, აბასთუმანი-ურეკი-ჭორვილა-თბილისის კვადრატში მოძრაობს. სანქციებში ეგზისტენციალურ რისკებს ვერ ვხედავ. უდავოდ უსიამოვნო ფაქტი იქნება, მაგრამ აბა სხვა რა გამოსავალია? ომში ჩართვას დავთანხმდეთ?! ლგბტ პროპგანდას დავთანხმდეთ ისედაც დაცოტავებული ერი?! სასამართლო უცხოეთს გადავცეთ?! კვლავ ეკონომიკურ კაბალაში და ვალის ორმოში ვიყოთ?! კვლავ ვაგზავნოთ ევროპაში ჩვენი ხალხი იაფ მუშახელად?!

***— სვიფტიდან გათიშვას აანონსებენ ოპოზიციის წარმომადგენლები და ელოდებით მსგავს გადაწყვეტილებას?***

— შესაძლოა, გადადგან ეს ნაბიჯიც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენთან ერთად თავს დაიზიანებენ. ქართულ საბანკო სექტორში 25 მილიარდი დოლარის უცხოური ფულია, ხოლო მთავრობის და კერძო კომპანიების საგარეო ვალი დამატებით 23 მილიარდია. სვიფტიდან გათიშვის შემთხვევაში 48 მილიარდის უცხოური ფული აქ გაიჭედება, პროცენტს, ძირს და დივიდენდებს ვერ გადავიხდით, რაც შესაძლოა ცუდი სულაც არ იყოს. თუ სვიფტიდან გაგვთიშეს, მოგვიწევს ალტერნატივის ძებნა. ასეთი ალტერნატივა ბრიკსის პლატფორმაზე მზადდება. „Brics pay“ – ასე ქვია ანგარიშწორების ახალ ციფრულ პლატფორმას, რომელსაც ამ დღეებში ყაზანში ბრიკს-ის სამიტზე მიიღებენ.

ამას გარდა, ევროპელი ბიზნესმენები თავად მოძებნიან გზებს, როგორ მიიღონ სვიფტგათიშული ქვეყნებიდან ფული პროდუქციისთვის და პირიქით. ასეთი პრაქტიკა არსებობს. რთული წარმოსადგენია, შვეიცარელებმა უარი თქვან ქართული ოქროს და სპილენძის კონცენტრატის მიღებაზე. კაპიტალი ხარბია და გზას იპოვის. თუ ქვეყნის სავალუტო რეზერვებს ან ოქროს მარაგებს შეეხნენ, რომლის თბილისში ჩამოტანაზე წელს უარი გვითხრეს, თითქოს ეროვნული ბანკის ოქროს საცავი არ შეესაბამება სტანდარტებს, ამის კომპენსირება საქართველოში არსებული უცხოური ფულით უნდა მოხდეს. კრედიტებს რაც შეეხება, დიდი ხანია, საქართველო აზიის

**ამ საფრთხეებიდან გამომდინარე, ხალხი ახლა ერთად უნდა დადგეს ისე, როგორც არასდროს. ნებისმიერ დესტაბილიზაციას აქტიურად უნდა ვუპასუხოთ. არნახული აქტიურობაა საჭირო 26 ოქტომბრის დილიდან ვიდრე არ გავანეიტრალებთ აგენტურას, რომელიც დესტაბილიზაციას აუცილებლად შეეცდება. აქტიურობა ხილული უნდა იყოს სოციალურ ქსელებში, კომენტარებში სტატიების, ინტერვიუების ქვეშ. თუ საჭირო გახდა გარეთაც უნდა გავიდეთ.**

ბანკებზეა გადასული, რადგან იქაურ კრედიტებს არ მოყვება იდეოლოგიური და სხვა ვალდებულებები, პროცენტიც და პირობებიც მეტად მისაღებია.

***— ყველაზე აქტიურად ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შეზღუდვაზე საუბრობენ. ფიქრობთ, რომ გააუქმებენ უვიზო რეჟიმს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას?***

— უვიზო მიმოსვლა ევროპამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დაგვიწესა. პანდემიამდე მათ ჰქონდათ 30 მილიონზე მეტი ვაკანსია, რომელსაც ვერ ავსებდნენ, არ ჰყოფნიდათ შრომითი რესურსი. უვიზო მიმოსვლით კი საქართველოს მოქალაქეებს გზა გაუხსნეს და 300,000 ქართველი ჩააბეს საკუთარ ეკონომიკაში. ეს ხალხი იქ მესამედ ფასში მუშაობს, თანაც სოციალური გარანტიების გარეშე. მანამდეც იყო დაახლოებით 100,000 ადამიანი წასული, „უვიზოს“ შემოღებამდე. ეს ხალხი სიცოცხლის განმავლობაში ევროპას 400 მილიარდი დოლარის ეკონომიკას აუშენებს და მხოლოდ 100 მილიარდს გამოიტანს ევროკავშირიდან, ანუ გამოაგზავნის საქართველოში. თუმცა საქართველოში გამოგზავნილი ფულიდანაც დიდი ნაწილი კვლავ ევროპაში დაბრუნდება, რადგან ვაჭრობაში 5-ჯერ გვიგებენ.

საქართველო 3000 წელია არსებობს და ევროპასთან მხოლოდ 9 წელია უვიზო რეჟიმი გვაქვს. თუ გააუქმებენ, რა გაეწყობა?! ვივლით, როგორც ადრე ვიზებით ან საერთოდ არ ვივლით. ყველაფერს აქვს უარყოფითი და დადებითი მხარე. ამ საკითხსაც დადებითი ის აქვს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული დაცლა შენელდება.

ახლა რუსეთმა გამოაცხადა, ქართველებს სამუშაოს უფლებას ვაძლევო. შესაძლოა ინდივიდუალურად ვიღაცისთვის კარგი იყოს, საქმეს აიწყობს, მაგრამ ზოგადად, ქვეყნისთვის ცუდია, როცა ხალხი გარეთ მიდის დიდი ხნით. ეს ეკონომიკას ვნებს, ბაზარი მცირდება, შრომითი რესურსი იკლებს. რუსეთს მუშახელის დეფიციტი აქვს და ცდილობს შეავსოს შრომითი ბაზარი, მაგრამ ეს არ არის ჩვენთვის კარგი. ადგილზე უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები ღირსეული ხელფასებით და ვინც წასულია, ისინიც ჩამოვიყვანოთ. ეს არის ეროვნული ამოცანა! ამის გაკეთება კი მხოლოდ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებით შეიძლება. მომსახურების და ვაჭრობის სფერო საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ამ სფეროების განვითარება ქვეყნის გაღარიბების და ხალხის დეგრადაციის გზაა.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირს ფორმალური საფუძველი, რომლის მიხედვითაც შეიძლება უვიზო მიმოსვლა შეგვიჩეროს, არა აქვს, რადგან ოთხი კრიტერიუმიდან, რომელიც განაპირობებს უვიზო რეჟიმის არსებობას, ოთხივეს ვაკმაყოფილებთ: საქართველოდან თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა შემცირდა და ასე შემდეგ. თუ მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და დაგვჩაგრეს, ეს მათი არჩევანი იქნება.

***— არჩევნებზე რა შედეგებს ელოდებით?***

— მმართველ პარტიას არ გაუჭირდება უმრავლესობის მიღება. ომის და მშვიდობის თემა იმდენად დამაჯერებელია, რომ ბევრი ხმას მისცემს. სავარაუდოდ, ნაცებმაც უნდა გადალახონ 5%-იანი ბარიერი, რადგან ამ სექტას თავისი სტაბილური მრევლი ყავს – ძირითადად, დაბალი მორალის ხალხი. მათი რეიტინგი 6-7%-ია. დანარჩენ ლიბერლურ პარტიებზე ვერაფერს ვიტყვი, არ მგონია, რომ ჰქონდეთ შანსი ბარიერის დაძლევის. ხალხი დარწმუნდა, რომ ეს ჯამაათი უცხო ქვეყნების სამსახურშია და ქართველი საზოგადოების მარგინალურ ნაწილს შეადგენენ.

მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობს, აიღებს თუ არა „ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას. თუ მათ ეს მოახერხეს, ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ სერიოზულ ცვლილებებს, რადგან არჩევნებიდან სულ მალე ნაციონალური მოძრაობა გასამართლდება, როგორც კრიმინალური რეჟიმი. ამ პროცესის შედეგი კი ის იქნება, რომ პარტიის რეგისტრაცია გაუქმდება, ხოლო დამნაშავე რეჟიმის საქმიანობაში მონაწილეობის მიმღებ პირებს აეკრძალებათ სახელმწიფოპოლიტიკური თანამდებობების დაკავება და საჯარო სივრცეში, ანუ მედიაში გამოჩენა. ეს კი გულისხმობს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას. ამისთვის აუცილებელი იქნება საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, რათა შემდეგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს სრულიად მაჟორიტარული წესით და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დასაწყებად აუცილებელი იქნება ორპალატიანი პარლამენტის დაწესება, რათა რეგიონებს ჰქონდეთ სერიოზული წარმომადგენლობა ზედა პალატაში ანუ სენატში.

***— ოპოზიცია და დასავლეთი რევოლუციით იმუქრება, ველოდოთ თუ არა ქუჩის აქციებს, სიტუაციის გამწვავებას?***

— ცხადია, უნდა ველოდოთ. შეეცდებიან ხელისუფლების დამხობას, რადგან არჩევნებში წარმატების თეორიული შანსიც კი არა აქვთ. არაფერი გამოუვათ, ხალხში ცვლილებების მოლოდინი და მოთხოვნა არ არის. პირიქით, ხალხის მოაზროვნე ნაწილი მადლობელია ივანიშვილის, რომ დაგვიფარა ომის უბედურებისგან. ბევრს კი ჯერ კიდევ არ ესმის, რას გადავრჩით. მე ასეთი განწყობა მაქვს, რაც არ უნდა მოხდეს – სანქციები, ვიზები, სვიფტი და სხვა, ომზე უარესი არაფერია. ამიტომაც მყარად ვარ ჩემს პოზიციაზე. დასავლეთის კი მიკვირს, ხედავენ, რომ აქ რესურსი არ აქვთ საკმარისი, მაგრამ მაინც არ იშლიან და მონდომებით გვერეკებიან რუსეთისკენ.

გავაკეთოთ მოდელირება: ვთქვათ და მოახდინეს გადატრიალება, მოიყვანეს ყველაფერზე ხელის მომწერი მარიონეტები. როგორ ფიქრობთ, რუსეთი დაიწყებს იმის ლოდინს, თუ როდის მოამზადებენ საქართველოს საომრად? რა თქმა უნდა, არა. აუცილებლად შემოვლენ სამხედრო ძალით. აფხაზეთში, ცხინვალში, ჯავაში, ახალგორში, გიუმრიში სამხედრო ბაზები აქვთ. ახალგორიდან თბილისამდე 40 კმ-ია, გიუმრიდან 120 კმ. გადაკეტავენ მაგისტრალებს, დაბომბავენ პორტებს, აეროპორტებს, რკინიგზას, სამხედრო ბაზებს, ქარხნებს, სამხედრო საწყობებს. ან მეორე ვარიანტი: აფხაზეთიდან რომ შემოვიდნენ და ზღვის დესანტი გადმოსხან სანაპიროზე, ლიხის ქედს საერთოდ არ გადმოვლენ – გაყოფენ ქვეყანას. მერე რას ვაპირებთ? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ავანტიურაში თავის გაყოფა და ამაზე ფიქრიც კი. დავკარგავთ სახელმწიფოს და დაგვშლიან.

ამ საფრთხეებიდან გამომდინარე, ხალხი ახლა ერთად უნდა დადგეს ისე, როგორც არასდროს. ნებისმიერ დესტაბილიზაციას აქტიურად უნდა ვუპასუხოთ. არნახული აქტიურობაა საჭირო 26 ოქტომბრის დილიდან, ვიდრე არ გავანეიტრალებთ აგენტურას, რომელიც დესტაბილიზაციას აუცილებლად შეეცდება. აქტიურობა ხილული უნდა იყოს სოციალურ ქსელებში, კომენტარებში სტატიების, ინტერვიუების ქვეშ. თუ საჭირო გახდა გარეთაც უნდა გავიდეთ.

ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერ ფასად ეს აგენტურის ჰიდრა უნდა დავამარცხოთ. დუმილი და ჩრდილში დგომა ქვეყნის ღალატი იქნება! შევარდნაძის ძალოვნებს რომ აეჭრელებინათ რამდენიმე უკანალი, 2003 წელს რამდენ უბედურებას გადარჩებოდა ქვეყანა, მაგრამ არ ეყოთ შინაგანი ენერგია. კახა თარგამაძე მაგიტომაც მოაშორეს, ის არ გაწირავდა ქვეყანას, რადგან ესმოდა, თუ რას გვიპირებდნენ.

ხელისუფლება მყარად დგას, სამართალდამცავების იმედი მაქვს. ხელისუფლების დამხობის მცდელობაზე თავიდანვე ხისტი ქმდებები უნდა იყოს. რევოლუციის დატრენინგებული „პეხოტის“ ათმეთაურების, ასმეთაურების და სხვა ამრევების დაკავებები, ყველა იმ პირის იზოლირება და განეიტრალება, ვინც წესრიგს და კანონს დაარღვევს. ფუნდამენტურად უნდა გაიწმინდოს დანაგვიანებული პოლიტიკური ველი მეხუთე კოლონისგან. ახლა მიდის ბრძოლა ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის, სუვერენიტეტის მოპოვებისთვის. თუ გავალთ ფონს ახლა, საქართველოში დიდი რენესანსი დაიწყება! მსოფლიოში იცვლება ვითარება ჩვენს სასიკეთოდ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**





# „მაიკ პომპეოს ჩამოსვლის შემდეგ გახარიამ თამაშები დაიწყო, ეტყობა, დაავერბოვკეს“

**„მოუშუშებელი ჭრილობა“, – როგორც ბიძინა ივანიშვილი უწოდებს გიორგი გახარიას, შეიძლება „ნაცმოძრაობასთან“ ერთად გასამართლდეს. არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ ნაცმოძრაობის გასამართლების პირობას დებს, არამედ გახარიასაც უჩენს თავის ადგილს მოღალატეთა კოჰორტაში...**

„ამ გარეწართან რომ დგანან, რა თქმა უნდა, გასამართლება მოუწევთ, დავუმტკიცებთ ყველაფერს, რას და როგორ აკეთებდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მოყვანას როგორ ეხმარება დღესაც და რამდენად კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ საქართველოს ომში ჩართვა მოუწევს“.

ივანიშვილის საუბრით ირკვევა, რომ გახარიასთან მიმართებით სასამართლო დონეზეა ყველა დოკუმენტი დალაგებული. ყოფილმა პრემიერმა არც ის დამალა, რომ გახარიასა და მისი გუნდის მიმართ უფრო მეტი გაღიზიანება აქვს, ვინაიდან ისინი პარლამენტში სწორედ „ქართული ოცნების“ მანდატით შევიდნენ, ხოლო დღეს ნაცმოძრაობაზე უარესს აკეთებენ.

**„გაიხსენეთ, პრემიერ-მინისტრი გახარია რატომ გადადგა ასე სასწრაფოდ 2021 წელს? იცოდნენ, „ქართული ოცნება“ არ იომებდა და როგორმე უნდა ჩამოეშალათ, ეს გააკეთებინეს გახარიას, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს“, – ამბობს ბიძინა ივანიშვილი, რომლის მსგავსად, ირაკლი კობახიძეც ღალატში ამხელს გახარიას და კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ გახარია შეგნებულად უპირისპირებდა ერთმანეთს სახელმწიფოსა და ადამიანებს, სამართალდამცავებსა და ახალგაზრდებს და ამას აკეთებდა სპეციალურად გარე დავალებების საფუძველზე – „მელია არ დაიჭიროთო, ეს გახარიას მხრიდან ზღაპრები იყო“...**

**ექსპერტი გია ხუხაშვილი** ამბობს, რომ გახარიას მამხილებელი დოკუმენტები მმართველ გუნდს არ აქვს, უბრალოდ, გახარიასთან რეალურად სულ სხვა პრეტენზია აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომ „შუა გაკრეფის“ საშუალება არ მისცა, თავისი საკუთარი „ცხვრის ფარა“ რომ ეგონა, ის ამომრჩეველი წაიყვანა თავისთან და ამით არჩევნების წაგების რისკის წინაშე დააყენა.



ბიძინა ივანიშვილის მუქარის ადრესატი გიორგი გახარია კი ამბობს, რომ ივანიშვილის მხრიდან ეს პირველი მუქარა და შანტაჟი არ არის. მისი თქმით, ივანიშვილმა თავად თქვა, რომ საკუთარი ფულის დასაცავად ქვეყნის ინტერესებით ვაჭრობდა.

რამდენად ექნება მმართველ გუნდს საიმისო დოკუმენტაცია, რომ გახარიას გასამართლების შემთხვევაში, დასავლეთიდან არ წამოვიდეს პროტესტი და ყოფილი პრემიერის დევნა არ მიაწერონ „ქართულ ოცნებას“, კიდევ რას გავიგებთ ახალს გახარიას ქმედების შესახებ?

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ 21 ოქტომბრის ინტერვიუს დროს ბიძინა ივანიშვილი იყო აბსოლუტურად უშუალო, პირდაპირი თავისი გზავნილების გავრცელებისას. რაც შეეხება საქართველოს (და არა მმართველი გუნდის) მოღალატეებს, ამაში იგულისხმება ნებისმიერი პერსონაჟი, იქნება გიორგი გახარია, მამუკა ხაზარაძე, თუ სხვა ტოქსიკური და ანტისახელმწიფოებრივი პერსონაჟები, რომლებსაც ქართველი საზოგადოება ხედავს.



გია აბაშიძის შეფასებით, მართალია, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ამბობს, რომ ნაცმოძრაობის და მისი პოლიტიკოსების გასამართლება ხდება გვიან, მაგრამ მანამდე ვერ მოხერხდა იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთთან მიმართებით ჰქონდა სხვადასხვა საერთაშორისო დავა, რაშიც ქართული ხელისუფლების პირობებში პირწმინდად გაიმარჯვა საქართველომ. მეორე პრობლემა იყო უპრეცედენტო, თავხედური ზეწოლა, რაც ახლაც გრძელდება და რაც გამოიხატება ნაცმარიონეტების დაცვაში.




**„გლობალური ომის პარტია არ არის მოგონილი ტერმინი, ეს უბრალოდ გადმოქართულებული ტერმინია და ამას ჰქვია „Deep State“ ანუ ღრმა სახელმწიფო, ეს „Deep State“ მფარველობს საკუთარ რადიკალურ პერსონაჟებს, იქნება ეს გახარია, თუ სხვანი. თუმცა უმთავრესია, რომ ქართული მართლმსაჯულება, ქართული დამოუკიდებელი კანონის უზენაესობა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და გაასამართლოს ნებისმიერი, ვინც დაუშავა საქართველოს და ქართველ ერს, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება ყოფილი პრემიერი გახარია, ყალთაბანდი მამუკა ხაზარაძე, თუ სხვა შავბნელი პერსონაჟები. კანონი არის უნივერსალური, მიუხედავად იმისა, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება შეეხება ყველას. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის კონკრეტულ განცხადებას გიორგი გახარიაზე, ჩვენ ვნახეთ ამ დინჯი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის, ბიძინა ივანიშვილის უპრეცედენტო საჯარო გაღიზიანება, რაც ახსნადია და მეტყველებს იმაზე, რომ რაც თქვა 21 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა გიორგი გახარიასა და მის შავბნელ გარემოცვაზე, ეს მხოლოდ აისბერგის ნაწილია. მან და მისმა თანაგუნდელებმა უკეთ იციან, როგორი ღალატი, როგორი უსამშობლობა იყო საქართველოს წინააღმდეგ გახარიას მხრიდან. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულებამ აქ საკუთარი ვერდიქტი უნდა გამოიტანოს, არ აქვს მნიშვნელობა, ევროკავშირის ელჩის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მხრიდან იქნება თუ არა ე.წ. შეშფოთება-აღშფოთება, რომელიც ბოლო პერიოდში გახდა ძალიან სამარცხვინო, სასაცილო და აბუჩად ასაგდები“, – აღნიშნა გია აბაშიძემ.**

მანვე განმარტა, რომ საზოგადოების განწყობაა, აქამდეც დასჯილიყვნენ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები და მათთან აფილირებული ლატენტური ნაცები. ამჯერად ეს მართლაც მოხდება ხალხის მიერ არჩეული პარტიის - „ქართული ოცნების“ მხრიდან, ისევე, როგორც ეს უნდა მოხდეს სამარცხვინო, კონსტიტუციის არაერთგზის დამრღვევ ზურაბიშვილთან მიმართებით, რადგან დაუშვებელია, უკანონობა ბოგინობდეს იმის მიუხედავად, ამას მხარს უჭერენ თუ არა აგენტოკრატიის მონები. გია აბაშიძის თქმით, საქართველო თავისუფალი, სუვერენული ქვეყანაა და საქართველოს ხალხი წყვეტს, ვის რა დანაშაული მიუძღვის და ვის რა სასჯელი უნდა გამოუტანოს დამოუკიდებელმა, თავისუფალმა სასამართლომ.

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის კაცი, რომელიც რამეს ჰაერზე ლაპარაკობს. ბიძინა ივანიშვილმა მწყობრად, სისტემურად ჩამოაყალიბა, რისი თქმაც შეიძლებოდა დღევანდელი დღისთვის გახარიას შესახებ, რომელმაც სახელმწიფოს უღალატა და ისეთ დროს გადადგა სახელმწიფოს პირველი პირის პოსტიდან, როცა წარმოუდგენელი იყო. ფაქტობრივად, შექმნა ქვეყანაში რყევების საფუძველი.

**„ბიძინა ივანიშვილს ამის საბუთი რომ არ ჰქონდეს, ყოვლად გამორიცხულია, ეთქვა, გახარიას გადადგომა ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო საქართველოს ომში ჩართვისთვისო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრამპი წავიდა პრეზიდენტობიდან, იმ პერიოდში ამერიკის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩამოვიდა საქართველოში, რომელსაც გახარია შეხვდა და პომპეო წავიდა მალე. ამის შემდეგ გახარიამ დაიწყო თამაშები, ეტყობა, გახარია „დავერბოვკებული“ ჰყავდათ. სხვანაირად ყოვლად შეუძლებელია. ვინმეს ჰგონია, გახარიამ თავისი ნაბიჯები არ გააანალიზა? რა თქმა უნდა, გაანალიზებული ჰქონდა, გახარიას მაშინ ავტორიტეტი ჰქონდა და ეს ავტორიტეტი მას შესძინა 2019 წლის ოცმა ივნისმა. ჩემი გადასახედიდან, მაშინ აბსოლუტურად სწორად იმოქმედა გახარიამ, მიუხედავად იმისა, რომ გახარიას მე ახლა სახელმწიფო მოღალატედ ვთვლი. სპეციალურ სამსახურებს ეს შესწავლილი ჰქონდათ და გახარიასგან უნდოდათ ლიდერის ჩამოყალიბება. გახარია ჰპირდებოდა ნაცმოძრაობას, მე თქვენ დაგასრულებთო! მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში გახარიას გუნდმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ოთხ საკრებულოში კოალიცია შექმნეს. ეს შემთხვევით არ მომხდარა, შესაძლოა, ეს გახარიას სურვილი არც იყო, მაგრამ მისმა პატრონებმა, რომლებიც მას მართავდნენ და, რომლებსაც, ეტყობა, მის შესახებ კომპრომატები ჰქონდათ, დაავალეს და გააკეთებინეს ის, რასაც დღემდე აკეთებინებენ“, – აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.**

მისივე მოსაზრებით, გახარიას გასამართლების შემთხვევაში, თუკი დასავლეთიდან უარყოფითი შეფასებები წამოვა, ეს უკვე აშკარად დამამტკიცებელი იქნება, რომ გახარია მათი აგენტია საქართველოში.

**მანანა ნოზაძე**

---

ეკონომიკა და ფინანსები

# საქართველო ევრაზიის საუკეთესო სამეულშია

**საქართველო ათწლიანი ზრდის პროგნოზის სამი მიმართულებით მსოფლიოს საუკეთესო სამეულებში მოხვდა. მონაცემებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქვეყნებს.**

**კერძოდ, საქართველო დეკადური (ათწლიანი) ზრდის პროგნოზის სამი მიმართულებით მოხვდა მსოფლიოს საუკეთესო სამეულებში, მსოფლიოში მეორე და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილზე:**

• ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ს ზრდა;

• **GDP per capita** მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ზრდის ტემპი.

• **GDP per capita** მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით მუდმივ ფასებში ზრდის ტემპი

სავალუტო ფონდის შეფასებით წელსვე (2024 წელს) საქართველო ერთ სულ მოსახლეზე 5-წლიანი რეალური ეკონომიკური ზრდით მსოფლიოში გადის მეორე ადგილზე და ასეთ ლიდერობას შეინარჩუნებს ზედიზედ 6 წლის განმავლობაში – შესაბამისად 6-წლიანი, 7-წლიანი, 8-წლიანი, 9 და 10-წლიანი გრძელავდიანი ზრდის ტემპების მიხედვით 2024-2029 წლებში პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით (2019 წ).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეს ათწლედური საპროგნოზო შედეგი 2019 წელთან, ანუ პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით გამოვლინდა, რითაც კიდევ ერთხელ საბოლოოდ გაქარწყლდა უსაფუძვლო ნარატივი, რომ მიმდინარე წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის გამორჩეული მაჩვენებლები 2020 წლის ძლიერი ეკონომიკური ვარდნის ეფექტით იყო გამოწვეული და თითქოს პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის კარგი პერსპექტივა არ უჩანდა.

1. ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ს ზრდის ათწლიანი ტემპის მიხედვით 2029 წელს მსოფლი-



ოს საუკეთესო სამეულში იმკვიდრებს ადგილს, მსოფლიოში არის მეორე ადგილზე და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში (ევროპა, აზია, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი) ზრდის უპირობო ლიდერია. ამ პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკას. მეორე ადგილზე საქართველოა რომლის მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით 2029 წელს 71 %-ით იზრდება.

2024 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს რეალური ეკონომიკა წლიური თვალსაზრისით 7,5%-ით გაიზრდება, რითაც ევროპისა და აზიის სახელმწიფოებს შორის უპირობოდ ლიდერობს და პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია 2012 წელთან შედარებით, ანუ 12-წლიანი ზრდის ტემპით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო შვიდეულში მეექვსე ადგილზეა, ევრაზიის კონტინენტზე კი საუკეთესო სამეულშია. ამ პერიოდში საქართველოს რეალური ეკონომიკა ერთ სულზე 83%-ით იზრდება.

2. მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე (**GDP per capita PPP**) ნომინალური ეკონომიკის ათწლიანი საპროგნოზო

გაგრძელება მე-9 გვ.

ემზარ კვიტაიშვილი



## მწერალი არქიტექტორის შესახებ

ვახტანგ დავითაია განუზომელ აღშფოთებას გამოთქვამს იმ აურაცხელი ზარალის გამო, რაც სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა არქიტექტურას მიაყენეს („საქართველოში ჩამოთესლეს უმდაბლესი კვალიფიკაციის, მეორადი, ხარა-ხურა უცხოელი არქიტექტორები, რომელთა ნახელავი ძვირადღირებული ფაქტია მხოლოდ და არავითარი არქიტექტურულ-სახელოვნებო შენაძენი...“)



დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ს.რ.“ N121.

# სიცინცხალითა და სევდიანობით გამორჩეული დიდოსტატი

**უსაზღვრო დიაპაზონის ხელოვანთან, რამაზ ჩხიკვაძესთან, ვახტანგ დავითაია, უმთავრესად, თეატრის ფანატიკურმა სიყვარულმა დაამეგობრა. ამას ისიც ემატებოდა, რომ რამაზის დედა, ქალბატონი ელენე გაჩეჩილაძე იყო და ოჯახებს ნათესაური კავშირი ქონდათ. რამაზის ბავშვობა სოფელ წევასთან იყო დაკავშირებული.**

**წინამდებარე წიგნში, სიცინცხალითა და, გასაგები მიზეზის გამო, სევდიანობითაც, ერთ-ერთი საუკეთესოა „საუბარი რამაზ ჩხიკვაძესთან.“ იგი მოიცავს 2011 წლის აგვისტო-სექტემბერს, როცა ქართული თეატრის ისტორიაში ყველაზე მრავალსახოვანი, ბუნებით უნიჭიერესი მსახიობი, სიცოცხლის ბოლო დღეებს მარცვლავდა; მეუღლე ახალი დასაფლავებული ჰყავდა და ვახტანგ დავითაია დაიბარა, ნატაშას საფლავის პროექტი მაჩვენეო. მისულს ისიც უთხრა, ის ჩემი საფლავიც ხომ უნდა იყოსო.**

ძნელზე ძნელია, მღელვარების გარეშე წაიკითხო ეს, ფრიად დელიკატურ თემაზე გამართული დიალოგი, როცა ცოცხალი ადამიანი საკუთარი განსასვენებლის წვრილმანებს აზუსტებს, მაგრამ ყოველივე იმდენად ფაქიზადაა მოწვდილი, ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს, ვახტანგს არ უჭირს, გაამართლოს მთავარ კომპონენტად გამოყენებული გვირგვინის მოტივი და მომაკდავ მეგობარს, ვისაც წამოჯდომაც აღარ შეუძლია, დაუფარავად ეუბნება:

„– გვირგვინის თემა მინდა გამოვიყენო. გვირგვინი რიჩარდია, მეფე ლირია, თეატრია. გვირგვინი, ხან თავზე რომ გქონდა ჩამოფხატული, ხან სად მოისროდი, ხან სად. გარდა ამისა, რამაზ ჩხიკვაძეს, ისედაც ეკუთვნის გვირგვინი...“

ამის გაგონებაზე იგი შემკრთალი აფრთხილებს, ნატაშა არ დამეკარგოსო. თან ახსენებს, ქალბატონმა ნატაშამ როგორ გამოსტაცა სიკვდილს მისი ექვსი თვის ქალიშვილი თეა, როცა იგი, ბაქოს ქუჩაზე, სიცხისგან იწვოდა. რამაზთან ერთად, შურდულივით გავარდა ებრაელების უბანში და ნახევარი საათის მერე მოიტანა პროფესორ ირაკლი რცხილაძის გამოწერილი ძნელად საშოვნელი წამალი, რამაც ჩვილის სიცოცხლე იხსნა. რამაზი შემდგომ თეას ნათლია გამხდარა.

ყოველი მოსვლისას, წარმოდგენილ პროექტში რამაზს შესწორებები შეაქვს. ერთგან ჭირვეულობს, არ მინდა, სამი ქვა გულზე გვაწვებოდესო. პროექტის ავტორი ამშვიდებს, ქვები შვეულებზე იქნება ჩამოკიდებულიო. ის ისევ თავისაზეა, სული ეხუთება: „მინდა მაწვიმდეს, მათოვდეს და მზე მაცხუნებდეს...“ სწორედ ეს სიტყვებია გატანილი სათაურად ამ სიკვდილისწინა საუბრებისა, ყველა ჩვენგანი გულდამძიმებული რომ ჩაიკითხავს.

რამაზ ჩხიკვაძის ამოუწურავი ნიჭი მთელი ძალითა და მრავალფეროვნებით გამოვლინდა რობერტ სტურუას მოღვაწეობისას, ვინაც თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი რეფორმატორია და ამ ურთულეს სფეროში დაუვიწყარი ეპოქა შექმნა. ცხადია, რამდენად ფასეულია გასაუბრება ამოდენა მასშტაბის ხელოვანთან და ვახტანგ დავითაიამ ძველ მეგობარს კონკრეტული შეკითხვა დაუსვა. იგი იმჟამად გამოსაცემად ამზადებდა თავის საეტაპო წიგნს – „პროცესი“, რომელშიც მიზნად ისახავდა, ეჩვენებინა დაძაბული, საფეხურებრივი შრომა, რაც ჩანაფიქრიდან მის განხორციელებამდე გრძელდება; სურდა, გაეგო, როგორ ახსნიდა დიდი რეჟისორი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ მრავლისმომცველ მოვლენას. პასუხი კონკრეტული და დამაჯერებელია:

**„პროცესი ჰგავს მუზის მოფრენას, არ ექვემდებარება ლოგიკას. გადიხარ სცენაზე, თითქოს იცი, რა გინდა, იწყებ კეთებას ინტუიციით თუ რაღაც მაგიური ძალით და გრძნობ, არის თუ არა კავშირი შენსა და მსახიობებს შორის. ვაკეთებთ ერთად სცენებს. სპექტაკლი რომ გამოდის (პრემიერა), ის უკვე ჩემი არ არის, ამიტომ პროცესი, კონკრეტულად, რეპეტიციის პროცესი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ის ერთადერთი ადგილია, სადაც მე რაღაცას ვქმნი. წინასწარ ბევრი რამ მოფიქრებულია, მაგრამ ბევრი რამ გზადაგზა იცვლება.“**

შეკითხვების კვალდაკვალ, პასუხიც არ აყოვნებს და არსად არ იკარგება მთავარი ხაზი, რამაც ყველაფერი უნდა გაამთლიანოს. აზრის მდინარება ქვეცნობიერის სიღრმეში გადადის: „...სახლში მოფიქრებული სცენა ხშირად ვერ „ჯდება“ საერთო განწყობილებაში, რადგან მსახიობები ცოცხალი ადამიანები არიან თავიანთი ტემპერამენტით, ნიჭით, შესაძლებლობებით... და კიდევ – დასაწყისში რომ ვახსენე „მუზის მოფრენა“, ესეც ბევრ რამეს ცვლის. როგორც ლექსის წერისას ან ფერწერაში ვერ გაიგებ, რა როგორ ხდება, აქაც ასეა, წინასწარ ვერ გათვლი.“

ყველას გაკვირვებია, რომ რობერტ სტურუას რიჩარდის როლის შემსრულებლად კომიკურ მიდრეკილებათა მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე შეურჩევია, მაგრამ მალევე დარწმუნდნენ – მისი გადაწყვეტილება სავსებით სწორი იყო. მათ ვერ განსაზღვრეს, მოქმედების რამდენად ფართო არეალი ჰქონდა რამაზ ჩხიკვაძეს. მსჯელობისას ჩანს დიდი რეჟისორის მაძიებელი ბუნება, ნაკითხობა: **„სხვათა შორის, ცნობილი ინგლისელი შექსპიროლოგი, გვარი არ მახსოვს, ასაკი თავისას შვრება, ამბობს, რომ „რიჩარდი“ შექსპირის ყველაზე მხიარული ტრაგედიაა. მეც ვთვლი, რომ ეს პიესა ტრაგიკომედიაა. ჩემი აზრით, შექსპირის ტრაგედიები სინამდვილეში ყველა ტრაგიკომედიაა. შექსპირმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ტრაგედია, თავისი პირდაპირი გაგებით, არ არსებობს ცხოვრებაში. ის ყოველთვის მიახლოებულია ფარსთან.“** აქვეა ნათქვამი შექსპირის შეუდარებელი ნიჭის ვეება ირონიულ ბუნებაზე, რისი გათვალისწინებაც ყველა ღირსეულ რეჟისორსა და მსახიობს გამოადგება.

ერთგან ვახტანგ დავითაია გულისტკივილს გამოთქვამს, რომ არქიტექტორები და დიზაინერები კაპიტალის ზეწოლას განიცდიან, რასაც სავალალო შედეგი მოსდევს: „ნახეთ, როგორაა აკროპოლის მიმდებარე ფერდობი განაშენიანებული – არავითარი მოკრძალება, რევერანსი აკროპოლისადმი. ფულმა ყველაფერს დედა უტირა.“

კარგა ხნის წინათ (ორმოც წელზე მეტია გასული) როცა ათენში ტურისტად ვიყავი ჩასული, მეც მინახავს, აკროპოლისკენ მიმავალ შეფენებაზე ხამანწკებივით იყო ახორხლილი ერთმანეთზე მიჯუჯყული უშნო შენობები და გუნება წამიხდა, ეს შეუსაბამობა დღიურშიც ჩავიწერე.

ის კი არადა, გაზულუქებულ მდიდართა სიხარბეს ვერც აღორძინების ხანის იტალია გადაურჩა. გამოჩენილი ინგლისელი ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრ ლი თავის ფუძემდებლურ გამოკვლევაში **„უსახური რენესანსი მშვენიერების საუკუნეში“**, სინანულით წერს, რომ ფულის მოსახვეჭად გამგელებული მხედართმთავარი და მეცენატი სიჯისმანდო მალატესტა, თავის მდაბალი სურვილები რომ აღესრულებინა, გემოვნებასა და ზომიერებას არაფრად დაგიდევდა, ხელოვნება საკუთარ ახირებულ მოთხოვნებს დაუმორჩილა.

**ევროპის მოწინავე, უკულტურეს ქვეყნებში თუ ხშირად ასეთი მდგომარეობაა, ჩვენისთანა პატარა ერს, გლობალური შემოტევების გარემოცვაში, რაღა დაემართება. აქედან გამომდინარეობს ვახტანგ დავითაიას შეშფოთება: „ჩვენ კაპიტალის მიმართ არავითარი სტრატეგია არ გაგვაჩნია. ამიტომ სულ არ გამიკვირდება, ხვალ მცხეთის ჯვარს გვერდით მაღალი შენობა რომ დაუდგან. გადაიხადე ფული და რაც გინდა, აკეთე.“**



მონადირის სოფელი თბილისში. 1986

რობერტ სტურუას იუმორი, ოხუნჯობა არავისგან ესწავლება და თავისი თავის მიმართაც იგი უშეღავათოა, არაფერს ჩქმალავს: „მართალია, დესპოტს მეძახიან, სხვადასხვა ეპითეტებით მომიხსენიებენ თეატრში. მაგალითად, გურამ საღარაძემ შემარქვა ადოლფ ბესარიონოვიჩ ბერია. არა მგონია, ასეთი დესპოტი ვიყო, მე უფრო ხავერდოვანი დიქტატორი ვარ.“

სწორედ ეს ბოლო სიტყვები უზის სათაურად ინტერვიუს ელფერის მქონე ორი მეგობრის მეტად შინაარსიან კითხვა-პასუხს, რომლიდანაც თითქმის ყველა აბზაცი ამოსაწერია, მაგრამ არ იქნებოდა მოსაწონი, ასეთ იოლ გზას რომ დავდგომოდი.

რობერტ სტურუას სატელევიზიო გამოსვლებში არაერთხელ განუცხადებია, რომ ჩვენთან შურისგან დაბოღმილი უნიჭოები გაშმაგებით ებრძვიან ნიჭიერებს, რაც გარემოს წამლავს.

**წყალგაუვალი სიმართლეა.**

მახსოვს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცხოვრებისას, მოუსვენარი დისიდენტი და სახელგანთქმული მოქანდაკე ერნსტ ნეიზვესტნი ერთ ინტერვიუში ჩიოდა, მთავრობაზე გაცილებით მეტად ხელოვნებას „ნაცრისფერი უნიჭოება“ ემტერება და აზიანებსო.

აქ ზოგიერთი პარალელის მოხმობა დამჭირდება. ისტორიაში მრავლად მოიპოვება შემთხვევები, როცა სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები ფარული ხრიკებით ქვეყნის სათავეში ექცეოდნენ. საშიში ავაზაკი, ზნეობრივად გახრწნილი, ათას სისაძაგლეთა ჩამდენი ბალთაზარ კოსა იტალიას რომის პაპად, იოანე ოცდამესამედ მოევლინა. თუ რამდენად სკანდალური, თავისმომჭრელი გახდა ეს ფაქტი ევროპის მოწინავე ქვეყნისათვის, ამაზე წიგნებია დაწერილი.

მოჩვენებითად მშვიდი და შინაგანად დევნის მანიით შეპყრობილი კანონიზირებული პაპი ურბან მეექვსე (მანამდე იგი ნეაპოლის არქიეპისკოპოსი იყო) შემცდარმა კარდინალებმა აირჩიეს და პირველად სწორედ იმათ დაერია, რა აღარ დასწამა; ექვსი მათგანი, შეთითხნილი ბრალდებით, საპყრობილეში გამოამწყვდია და ჯოჯოხეთურად აწამა. თვითონ საკნების სიახლოვეს ჩაჯდა სავარძელში, ჯალათების ხელში საჯიჯგნად ჩაყრილთა კვნესა მუსიკად ჩაესმოდა, მათი სასოწარკვეთილი ღმუილი ნეტარებას გვრიდა და ამ დროს თვითონ „ჟამნს“ კითხულობდა.

ასეთივე დამღუპველი გაუგებრობა იყო, გარეშე, ბნელი ძალების, სპეცსამსახურების ხელშეწყობით, პათოლოგიური კრიმინალის, სადისტად დაბადებულის, დაგეგმილ მკვლელობათა ორგანიზატორის, გამყიდველის სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტად დასმა, ვინაც კაგებეს გენერალი ბიძის თემურ ალასანიას შედგენილი ინსტრუქციებითა და დავალებით მოქმედებდა და ჩვენი სამშობლო გაჩანაგების პირად მიიყვანა. აღარ ჩამოვთვლი მისი მითითებით ნაწამებ და დახოცილ უდანაშაულო ადამიანთა გვა-

# სვებედნიერი

## როგორ აკლია ჩვენს სოფელს ბონდო პაპავასნაირი გონიერი კაცები

**ბონდო პაპავას განვლილ გზას რომ გადახედავთ, უმალ გაგახსენდებათ ულამაზესი ქართული სიტყვა „სვებედნიერი“, ანუ კაცი, რომელმაც თავისი გრძელი წუთისოფელი ისე ლაზათიანად მოივარგა და მოიჭირნახულა, რომ თავის მრავალტანჯულ სამშობლოს მხოლოდ სიკეთის მთესველ პიროვნებად ჩამოუყალიბდა. ახლაც, 87 წლის ასაკშიც მხოლოდ ქვეყნის გადარჩენის, საქართველოს გამთლიანების, ქართული ჯიშისა და გენის აღორძინების, გამრავლების საუკუნოვანი პრობლემების მოგვარებაზე ფიქრობს და ლოცულობს.**

ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩენო გულიანო და ზნეკეთილო, ჭკვიანო და მშრომელო, შვილისა და შვილიშვილების, შვილთაშვილის გამზრდელო და მეგობართა წინმავალო ჯავარიანო კოლხო კაცო!

შენ მარადიული სიამაყით დააბიჯებ ამ მადლიან მიწაზე, ადამიანური ღირებულებებით გამორჩეული პიროვნება ხარ, ქართული სოფლის ტრფიალი, სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების დიდი პროფესიონალი, უბადო სპეციალისტი, მეგობართა თანამდგომი, ადამიანებთან ურთიერთობის შესანატრი ნიჭით დაჯილდოებული, პატიოსნების, წესრიგის, კანონიერების დიდი გულშემატკივარი... ამიტომაც აგირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

✦ ✦ ✦

**ბონდო პაპავა** ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში დაიბადა 1938 წლის 17 იანვარს. 1956 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1958 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა სამტრედიის (კულაშის) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში და ამავდროულად მუშაობა დაიწყო ხობის რაიონის სოფელ ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პუნქტის გამგედ, საიდანაც დააწინაურეს ხობის რაიონის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად. 1965 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ჩაირიცხა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1965 წელს ცოლად შეირთო უჭკვიანესი გოგონა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლუიზა ცხომარია. ოჯახის შექმნის შემდგომ ცოლ-ქმარი მუშაობას იწყებს გორის რაიონის დაბა სკრის მებაღეობა-მევენახეობის კვლევით ინსტიტუტში. ლუიზა ცხომარია მეცნიერ-მუშაკად დაინიშნა, ხოლო ბონდო პაპავა – ამავე ინსტიტუტის ლაბორანტად. 1966 წლის დასასრულს ორივენი სამუშაოდ გადმოვიდნენ დედაქალაქში, თბილისის მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. მალე ქალბატონი ლუიზა დაინიშნა უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო ბონდო – თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის სახლმმართველად, მოგვიანებით კი ამავე მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსად.

ბონდო პაპავას ხანგრძლივი ორგანიზატორული მუშაობა იწყება 1971 წლიდან, რომელიც დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებასთან და კვების პროდუქციის წარმოებასთან. 1972 წელს საცდელი მეურნეობის ინჟინერ, მექანიკოსის თანამდებობიდან გადაიყვანეს მცხეთის რაიონის მუხრანის მეფრინველეობის ფაბრიკა-რეპროდუქტორის მთავარ ინჟინრად. 1978-1980 წლებში მუშაობდა თეთრიწყაროს რაიონის მეფრინველეობის სახელმწიფო სანაშენო ქარხნის მთავარ ინჟინრად. 1981 წელს გახდა თეთრიწყაროს რაიონის „სახკომსოფლტექნიკის“ მთავარი ინჟინერი. 1982 წელს კი, ამავე საწარმოში დაინიშნა მმართველად.


ბონდო პაპავა შვილიშვილთან ნიალა პაპავასთან ერთად. 2017 წელი.

1982 წლის ბოლოს დააწინაურეს თეთრიწყაროს რაიონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1987 წლამდე. 1987 წელს გადაიყვანეს მარაბდის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

1992 წელს დაინიშნა მეცხოველეობის, მეთევზეობის, მებოცვრეობის (ნადირმშენის) რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 2003 წლამდე.

1990 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება. მრავალგზის აქვს მიღებული სახელმწიფო ჯილდოები და წარმატების სიგელები.

აღსანიშნავია ბატონ ბონდო პაპავას განსაკუთრებული ძალისხმევა, როდესაც იგი მუშაობდა თეთრიწყაროს რაიონის მარაბდის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობაში 1987-1991 წლებში. მან დიდად შეუწყო ხელი ისტორიული სოფელ მარაბდის აღორძინებას.

მარაბდელებს არ ჰქონდათ სასმელი წყალი, შუქი, გაზი, გზა იყო ამორტიზებული და თითქმის გაუვალი, ყველა ეს უმთავრესი სოციალური პრობლემა მარაბდელებს ბატონმა ბონდო პაპავამ მოუგვარა. სოფელი მარაბდა თანდათან გალამაზდა და გახდა მიმზიდველი. სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოში დაიდგა სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის ბიუსტი, კეთილმოეწყო ცხრა ძმა ხერხეულიძეების სასაფლაო. ბონდო პაპავამ ჩაუყარა საფუძველი რაიონში სახალხო ზეიმ „მარაბდელობის“ ჩატარებას. ბატონი ბონდო პაპავას მარაბდის საბჭოთა მეურნეობის წინამძღოლად მუშაობის პერიოდში, მეურნეობა 150%-ით ასრულებდა ხორცის და მარცვლეულის წარმოების გეგმებს. მისი ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის და ცნობილმა სწავლულებმა, აკადემიკოსებმა გივი სანაძემ და პეტრე ნასყიდაშვილმა ბონდო პაპავასთან დადეს ხელშეკრულება, რათა დაენერგათ სოფელ მარაბდაში ყაზახეთიდან შემოტანილი ე.წ. „ტრეტიკალეს“ მარცვლის კულტურა. ბატონმა ბონდო პაპავამ გაამართლა აკადემიკოსების ნდობა და მარაბდის საბჭოთა მეურნეობაში ამ მარცვლეულის მოყვანით მიიღო რეკორდული მოსავალი – 72 ცენტნერი ჰექტარზე, რომელიც სამი წლის მანძილზე ნაწილდებოდა კახეთის ზონაში.

ბატონი ბონდო პაპავა აწ გარდაცვლილ გივი სანაძესთან ერთად დღე და ღამე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისთვის.

ასეთი ღვაწლმოსილი მუშაკი დღეს ხელისუფლებისგან მოკლებულია ყურადღებას და სითბოს, მაგრამ მას არასდროს დაივიწყებს თავისი საქვეყნო საქმეები და ის კოლექტივები, სადაც კი მას ოდესმე უმუშავია და განსაკუთრებით არ ივიწყებენ ის განუყრელი მეგობრები, რომლებიც ბატონ ბონდო პაპავას სულითა და გულით ულოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს 87 წლის იუბილეს და ქართული სოფლის ამ ჭეშმარიტ გუთნისდედას უსურვებენ სულიერ და ფიზიკურ სიმხნევეს და დიდხანს სიცოცხლეს თავის საამაყო შვილთან დავით პაპავასთან, შვილიშვილებთან ნიალა, თამარ პაპავებთან და შვილთაშვილთან, 6 წლის ბარბარე ბაქანიძესთან ერთად.

მხნედ და ჯანმრთელად გვეყოლე დიდი სამეგობროს ბერმუხავ და სამაგალითო მამულიშვილო!

მეგობრების სახელით
**ბაკურ გულუა,** საქართველოს სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, **თორნიკე აფაქიძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, **ვახტანგ თოდუა,** კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, **ვახტანგ ოღროშიძე,** ინჟინერ-მშენებელი, **გიორგი კობახიძე,** ინჟინერ-მშენებელი, **სპარტაკ ქობულია,** ჟურნალისტი.

---

რებს (მაგალითისათვის, მისი ყოფილი მხარდამჭერის, შემდგომში უკმაყოფილების გამომთქმელი, უპატიოსნესი პიროვნების, ხუთი შვილის მამის კობა დავითაშვილის მისიკვდილებაც იკმარებს), ისედაც საყოველთაოდ ცნობილია.

ვახტანგ დავითაია განუზომელ აღშფოთებას გამოთქვამს იმ აურაცხელი ზარალის გამო, რაც სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა არქიტექტურას მიაყენეს („საქართველოში ჩამოთესლეს უმდაბლესი კვალიფიკაციის, მეორადი, ხარახურა უცხოელი არქიტექტორები, რომელთა ნახელავი ძვირადღირებული ფაქტია მხოლოდ და არავითარი არქიტექტურულ-სახელოვნებო შენაძენი...“)

იმავე წერილში იგი მოკლედ, შეკუმშულად ჩამოთვლის, სისხლიანმა ურჩხულმა „რა უბედურებაც ჩაიდინა – ჩახოცილი ახალგაზრდები, დაკარგული ტერიტორიები, გაუპატიურების ფაქტები, ბიზნესმენების დაყაჩაღება, ბიზნესის, ქონების წართმევა და სხვა და სხვა...

**ქუთაისის მემორიალის აფეთქება, რასაც დედა-შვილი შეეწირა – მარტო ეს კმარა, რომ მას პირდაპირ სამუდამო პატიმრობა მიესაჯოს, ხოლო მისი გარემოცვა, უსიტყვო შემსრულებლები გასამართლდნენ...**

**სიღნაღში 13-მეტრიანი ბრინჯაოს „ამირანი“, რომელიც კავკასიონისკენ იყო მიქცეული, ახვართა ბრიგადამ ერთ ღამეში 17 ნაწილად დაჭრა და ტურბაზის ეზოში მიყარა – რა დააშავა ქანდაკებამ?! ამ ვანდალური აქტის შემსრულებლებიდან ერთი კაციც არ დასჯილა. დამნაშავეები ვერ აღმოაჩინეს (!). როგორ გგონიათ, საკუთარ თავს ხომ არ დასჯიდნენ...“**

გოეთეს უღრმესი რომანის („ვილჰელმ მაისტერის თეატრალური მოწოდება“) გმირი ფრიად თავშეკავებულად ამბობს: „ძალაუფლების ამპარტავნულად ბოროტი გამოყენება ჩვენს ზიზღს იწვევს.“ წრეგადასული ბოროტებისადმი ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულება ყველა ეპოქაში ურყევი იყო და ამგვარადვე დარჩება.

**ჩვენდა ჭირად გაჩენილი სააკაშვილისა და მისი მლიქვნელური, ავადმყოფური მიმდევრების მიერ ჩადენილ გაუგონარ დანაშაულთა აღწერას ტომები დასჭირდება და იმედია, 26 ოქტომბრის გადამწყვეტი არჩევნების მიერ უამრავი სისაძაგლე და ღალატი გამოაშკარავდება, მათ შორის, პროვოკაციულად მოწყობილი „აგვისტოს ომის“ ამაზრზენი ამბები.**

სიმბოლურად გასამართლებულს (6 წელი მისთანა საარაკო მონსტრისთვის სასაცილო სასჯელია) და ბატონკაცურ, ფუფუნების პირობებში მყოფს, სინდისისგან დაცლილი ევროპელი და ამერიკელი მექრთამეებით ზურგგამაგრებულს, მისი შხამიანი კუდები, შანტაჟში დახელოვნებული ნაცები, დღესაც პოლიტიკური მოტივით დაჭერილად, „პუტინის პატიმრად“ და ისევ პრეზიდენტად აცხადებენ. მარგველაშვილისა და თვალთმაქცი ზურაბიშვილის ქალისა არ იყოს, ვისი და რანაირი „პრეზიდენტიც“ გამოდგა იგი, მთელმა მსოფლიომ დაინახა.

გზა, რომელსაც ვახტანგ დავითაია ადრეული სიჭაბუკიდანვე დაადგა, იოლი არასოდეს ყოფილა. თუ რამდენი აქვს თავდაუზოგველად ნაბრძოლი, შევიწროებული სიმართლე რომ გაეტანა, ნაწილობრივ, ამ ფურცლებზეცაა ასახული. ბრძოლა მისი თანდაყოლილი სტიქიაა. რამდენი ძალ-ღონე და დრო შეალია მამულიშვილურ საქმეს, რათა ვერის დაღმართზე, სანაპიროს მიმდებარე ბაღში, უღვთოდ ნაწამები დიდი კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის ბრინჯაოში ჩამოსასხმელად გამზადებული ძეგლი დადგმულიყო (მოქანდაკე ს. ქოიავა). წერილები დაბეჭდა, სად არ მივიდა, ტვინგადაკეტილი ჩინოვნიკები რომ დაერწმუნებინა – ამის გაკეთება „ჯაყოს ხიზნებისა“ და „თეთრი საყელოს“ ავტორის ხსოვნის უკვდავსაყოფად აუცილებელი იყო, მაგრამ, ხელის შეშლის გარდა, არაფერი უგემნია.

ამჟამადაც მოწმენი ვართ, რა თავგამოდებით იბრძვის ვახტანგ დავითაია, რათა მახათას მთაზე ახლად გახსნილი პანთეონი ამერიკულ „მინი არლინგტონად“ არ გადაიქცეს, ვინაიდან ტიპური, შაბლონური საფლავებით გადათეთრება დამთრგუნველ სანახავს გახდის „პანთეონს”. ასევე საჩოთიროდ გამოიყურება, გარდაცვალების შემდგომ, „მეუღლეების შესაძლო დაშორება“, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ქრისტიანულ წესს“, ცოლ-ქმრის ერთად დაკრძალვას, აკრძალვა ელოდება.

✦ ✦ ✦

**ერთი** თვალსაჩინო ღირსება ვახტანგ დავითაიასი ისიც არის, რომ იგი მუდამ დიდ ყურადღებას, მზრუნველობას იჩენს მის მხარდამხარ მომუშავე კოლეგების მიმართ და არც წინა თაობის, გარდაცვლილ არქიტექტორთა (ივანე ჩხენკელი, ირაკლი ციციშვილი, შოთა ყავლაშვილი, გიგა ბათიაშვილი და სხვები) ღვაწლს არ ივიწყებს, ყველას კუთვნილ პატივს მიაგებს.

ბოლოსათვის შემოვინახე ამ წიგნშიაც ბოლოსკენ მოქცეული „საუბარი მამასთან“, ინტერვიუ, რომელიც ვახტანგ დავითაიასაგან მის უფროს ქალიშვილს, არქიტექტორს მაია დავითაიას აუღია. იგი მამას ეკითხება: „რა გეამაყება შენი შემოქმედებიდან, ცხოვრებიდან, რაზე ნანობ? რა ვერ მოასწარი?” აქ დასახელებულია ვახტანგ დავითაიას უამრავი მიღწევა ცხოვრების მანძილზე. ვახტანგი თითქმის ყველა ბიენალ-ტრიენალეში მონაწილეობდა და ზედიზედ იმარჯვებდა, დაუჯილდოებელი არასოდეს დარჩენილა; მისი შთამბეჭდავი წარმატებები რომ ჩამოვთვალოთ, რამდენიმე გვერდს დაიჭერს. მრავალი ჩაძიების მერე, შვილი მამას ეკითხება: „რა გშურს?“ პასუხი ალალი, გულახდილია:

„გშურს“ ცუდი სიტყვაა, არ მიყვარს. შური ადამიანური ნაკლია. არ „მშურს“ სიმდიდრე (მატერიალური). სიმდიდრეს პატივს ვცემ, თუკი ის ქვეყნის კეთილდღეობას ხმარდება. მიმაჩნია, ფულის შოვნაზე გაცილებით დიდი ნიჭია ფულის გონივრული ხარჯვა...“

**ინტერვიუში სხარტად, მოკვეთილად გაცემული პასუხი, ბარე ათჯერ, ასე იწყება: „მეამაყება“, „უზომოდ ამაყი ვარ“ და მისთანანი. ვახტანგ დავითაიას უანგარო მონაგარს გაზვიადება, რაიმეს მიმატება არ ესაჭიროება. იგი უამისოდაც პოეტური ბუნების ხელოვანი, დიდი არქიტექტორია, სამაგალითოდ კეთილშობილი ადამიანი. ყველა ჯილდოსა და ტიტულზე მეტად კი ის უნდა ეამაყებოდეს, მისი კვალის მიმყოლი, ასეთი ნიჭიერი და ჭკვიანი, უბადო ქალიშვილი რომ აღუზრდია.**


ალგეთის ბაზილიკა

საქართველოს რესპუბლიკა

ჟურნალისტის თვალსაწიერი

25 ოქტომბერი, 2024 წელი

# ჩრდილოეთ კორეა სამხრეთით ნაგვით სავსე ბუშტებს უშვებს!

**კორეის ნახევარკუნძულზე განვითარებულმა მოვლენებმა უკრაინის ომითა და ღაზას კონფლიქტით დაძაბულ მსოფლიოს შეახსენა, რომ ირგვლივ კონფლიქტის სხვა წერტილებიც არსებობს: ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ურთიერთობა საოცრად დაიძაბა. მათი დაპირისპირება, უკვე, იმდენად გამწვავდა, რომ სამყარო ახალ ცხელ წერტილზე ალაპარაკდა. კონფლიქტი, ჯერჯერობით, ომში არ გადაზრდილა, მაგრამ ესკალაციის დონე ნამდვილად საგანგაშოა.**

არადა, ახლო წარსულში, ყველას ეგონა, რომ ნახევარკუნძულზე მშვიდობა დაისადგურებდა და ერთ დროს მოსისხლე მტრები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ. მთელ მსოფლიოს ახსოვს 2018 წელი, როცა, სამხრეთ კორეის ზამთრის ოლიმპიადის დროს, სეულს ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის დის, კიმ იო ჯონგის ხელმძღვანელობით, ოფიციალური დელეგაცია ეწვია. ცნობილია, რომ ეს ქალბატონი კიმ ჩენ ინის რუხი კარდინალია. მაშინ ის სამხრეთ კორეის მაშინდელმა ლიდერმა მუნ ჯე ინმა ძალიან თბილად მიიღო. კიმ ჩენ ინის და ისე იყო მოხიბლული დახვედრით, რომ ოლიმპიადის ცერემონიის გახსნაზე, სამხრეთ კორეის ლიდერთან და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტთან, მაიკ პენსთან გვერდით დაჯდომას დათანხმდა. ამ ვიზიტმა ბიძგი მისცა სხვა ვიზიტებს, რომელთა კულმინაცია ორი ქვეყნის ლიდერთა შეხვედრა იყო. ახლა კი ისინი ერთმანეთს განადგურებით ემუქრებიან. მათ შორის ურთიერთობის გაუარესება 2022 წლიდან დაიწყო, როცა სამხრეთ კორეის სათავეში იუნ სოკ იოლი მოვიდა. მან კიმ ჩენ ინი თვალთმაქცობაში დაადანაშაულა, რადგან, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი შერიგებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებდა. იუნ სოკ იოლის კრიტიკას კიმ ჩენ ინმა იარაღის ჟღარუნით უპასუხა. ჯერ, რამდენიმე სამხედრო წვრთნა და სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტების გამოცდა ჩაატარა. მოგვიანებით კი, სკანდალი აგორდა საჰაერო ბუშტების თაობაზე. დღემდე გაურკვეველია, ვინ წამოიწყო ეს პროვოკაცია. მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებს. ჩრდილოეთ კორეას არ მოსწონს, რომ ბუშტების მეშვეობით სამხრეთ კორეა ანტი-ჩრდილოურ ბროშურებს ავრცელებს. სამხრეთ კორეა კი, აღშფოთებულია, ჩრდილოეთი სამხრეთისკენ ნაგვით სავსე ბუშტებს რომ უშვებს. შეიძლება, გაგვეცინოს ამ ამბებზე, მაგრამ სკანდალმა მართლაც დაძაბა ურთიერთობა. შედეგად, ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ საზღვართან ბირთვული რაკეტის 250 გამშვები განათავსა. კიმ ჩენ ინის და კი, სამხრეთ კორეას საჯაროდ დაემუქრა განადგურებით, რამაც, ცხადია, საპასუხო რეაქცია გამოიწვია. სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის თავდაცვა ძლიერია და, ომის დაწყების შემთხვევაში, ჩრდილოეთი კორეა უფრო მეტად დაზიანდება, ვიდრე სამხრეთი. მოკლედ, ესკალაციის სპირალი ამუშავდა. ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეის საზღვართან არტილერია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა,



მილიონ ოთხასი ათასი ადამიანის მობილიზაცია გამოაცხადა და, დემილიტარიზებულ ზონაში, სამხრეთ კორეასთან დამაკავშირებელი გზებისა და სარკინიგზო ხაზების მონაკვეთები ააფეთქა. ეს გზები ორ ქვეყანას შორის შესაძლო თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების სიმბოლოდ განიხილებოდა. დასავლელი ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეის ასეთი თავხედური ქცევა რუსეთთან დაახლოებით აიხსნება. **შეგახსენებთ, უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთმა ჩრდილოეთ კორეასთან ალიანსი შექმნა. მიმდინარე წლის ზაფხულში რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერებმა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვით, ჩრდილოეთ კორეა რუსეთს ტყვია-წამლით ამარაგებს. იმასაც ამბობენ, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი სამხედრო დანაყოფების ომის ხაზზე გაგზავნას გეგმავსო.**

**ჯერჯერობით არავინ უწყის, როგორ შეიძლება განვითარდეს დაპირისპირების ეს სპირალი.**



# სომხეთი რუსეთს უფრთხის, მაგრამ... გაყრას ვერ ბედავს!

**მოსკოვში გამართულ დსთ-ს სამიტს, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობდა, სხვებთან ერთად, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებიც ესწრებოდნენ, და სწორედ ისინი მოექცნენ მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში. ყველას აინტერესებდა, როგორ ჩაივლიდა ალიევისა და ფაშინიანის, ასევე, ფაშინიანისა და პუტინის შეხვედრა, რადგან, მათ შორის ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი დაგროვდა, თუმცა, სამიტზე ვერავითარი გარღვევა ვერ მოხერხდა.**

ალიევი და ფაშინიანი ერთმანეთს პირისპირ არც კი შეხვედრიან. ისინი მხოლოდ საერთო ღონისძიებაზე გადაიკვეთნენ. რუსეთის პრეზიდენტი კი, ცალ-ცალკე, ორივეს შეხვდა. შეხვედრებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ძირითად საკითხებს ისინი ასე უცებ და ასე ადვილად ვერ გადაწყვეტენ. აზერბაიჯან-სომხეთის მეგობრობის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა ჯერ ისევ ჰაერშია. პროცესის გაჭიანურებას, მხარეები ერთმანეთს აბრალებენ. ალიევმა პირდაპირ თქვა, არავითარი ხელისმოწერა არ იქნება, სანამ ყველა საკამათო საკითხი არ გადაწყდებაო. ფაშინიანის აზრით, ალიევი განგებ აჭიანურებს პროცესს და ყოველდღე ახალ-ახალი წინადადებებით გამოდის.

სადავო საკითხებში, ყველაზე მწვავე, ზანგეზურის დერეფნის პრობლემაა. ეს ის სატრანსპორტო დერეფანია, რომელმაც აზერბაიჯანი ნახიჭევანთან, ანუ მის კუთვნილ ტერიტორიასთან უნდა დააკავშიროს. ერთი შეხედვით, აქ სადავო არაფერია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზანგეზურის დერეფანი სომხეთ-ირანის საზღვარზე გადის და, ფაქტობრივად, სომხეთ-ირანის სახმელეთო გადასასვლელს კეტავს, რაც სომხეთს თავისი სუვერენიტეტის შებღალვად მიაჩნია. აზერბაიჯანისთვის ზანგეზურის დერეფნის გახსნის წინააღმდეგია ირანიც. რეგიონში თურქეთის გავლენის ზრდას უფრთხის და იმიტომ! სწორედ ამას გაუსვა ხაზი ირანის პრეზიდენტმა რუსეთის ლიდერთან ბოლო შეხვედრაზე. ფაშინიანმა, ზანგეზურის დერეფნის საპირწონედ პროექტი შეიმუშავა, სახელწოდებით, მშვიდობის გზაჯვარედინი, რომელიც შარშან, თბილისში, აბრეშუმის გზის ცნობილ ფორუმზე წარმოადგინა. მისი თქმით, პროექტის მიზანია სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, ირანსა და რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის კომუნიკაციის განვითარება, გულისხმობს რა საგზაო ინფრასტრუქტურის, ნავთობსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების შენებასა და განახლებას. ილჰამ ალიევმა ინიციატივა დაიწუნა, რაზეც ფაშინიანმა ასეთი კომენტარი გააკეთა: **აზერბაიჯანს სურს, სომხეთის გზები გამოიყენოს და, ამავე დროს, სომხეთი ისევ ბლოკადაში დარჩეს. ასეთ შეუსაბამო მიდგომას კი სომხეთი ვერ შეეგუება.**

შექმნილი ვითარების ასეთი განმარტებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მუშაობა ჯერ კიდევ დიდხანს გასტანს. ამ დროს, სომხეთს ჰაერივით სჭირდება ეს ხელშეკრულება, რომელსაც ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის პოტენციალის გაქრობა შეუძლია. გარდა ამისა, ხელშეკრულება დადებითად იმოქმედებს მთელ რეგიონზე, დაათბობს სომხურ-თურქულ ურთიერთობებს და, რაც მთავარია, სომხეთს რუსეთისგან დისტანცირების შესაძლებლობას მისცემს.

ყარაბაღის დაკარგვის შემდეგ, სომხეთმა რუსეთს ღალატში დასდო ბრალი და სომხურ-რუსული ურთიერთობა თვალშისაცემად ცივი გახდა. ეს კიდევ არაფერი! სომხეთმა ოდეკაბესთან ურთიერთობა შეაჩერა და ერევნის აეროპორტიდან რუსი მესაზღვრეების გაყვანა მოითხოვა. ახლა კი, დსთ-ს სამიტზე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან, რუსი მესაზღვრეები ირან-სომხეთის საზღვრის კონტროლს შეწყვეტენ. რუსეთთან დაშორების საპირწონედ, სომხეთი დასავლეთთან დაახლოებას ცდილობს: ნატოს ეგიდით, ამერიკასთან ერთად, სამხედრო წვრთნები ჩაატარა. უფრო მეტიც, სომხეთმა და ამერიკამ მათ შორის სტრატეგიული დიალოგის დაწყება ამცნო მსოფლიოს. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა მტკიცებით, სომხეთი, მიზეზთა გამო, ასე ჩქარა დასავლეთის ოჯახის წევრი ვერ გახდება. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დასავლეთი უკრაინის ომითაა დაკავებული. გარდა ამისა, სომხეთთან ურთიერთობის საკითხში დასავლეთი თურქეთს არ გადაახტება.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სომხეთი რუსეთთან ურთიერთობაში სხვა ძალების, მაგალითად, ირანისა და ინდოეთის მოშველიებას ცდილობს. მეორე მხრივ, რუსეთთან დაშორება მისი გაღიზიანების გარეშე სურს, და რადიკალური ნაბიჯების გადადგმას უფრთხის. მაგალითად, არ გამოდის დსთ-დან და ოდეკაბე-დან და, ჯერჯერობით, არც გიუმრიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის საკითხს აყენებს!..



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

# დონალდ ტრამპი აშშ-ში არასრულწლოვნებისთვის სქესის შეცვლის ოპერაციის აკრძალვას გეგმავს



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა „რესპუბლიკური" პარტიიდან დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ხელს მოაწერს კანონს, რომელიც ქვეყანაში არასრულწლოვნებისთვის სქესის შეცვლის ოპერაციას აკრძალავს.**

„მე ხელს მოვაწერ კანონს, რომელიც არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის ოპერაციას აკრძალავს ყველა 50 შტატში. ეს აღარ განმეორდება. და ჩვენ კვლავ ერთმანეთს სიამაყით ვეტყვით „გილოცავთ შობას", – თქვა ტრამპმა.

გარდა ამისა, ტრამპმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ის აგრეთვე სკოლებში „კრიტიკული რასის თეორიას" და „ტრანსგენდერობის სიგიჟეს" აკრძალავს.

მისი თქმით, იგი **„ტოქსიკურ გენდერულ იდეოლოგიას"** დაუპირისპირდება, რადგან ღმერთმა ორი სქესი – მამაკაცი და ქალი შექმნა.

# თაღლითების ცვენა უკრაინაში

## არმიაში გაწვევისთვის თავის არიდების შესახებ სკანდალის ფონზე გადადგა უკრაინის გენერალური პროკურორი ანდრი კოსტინი!

**უკრაინის გენერალური პროკურორი ანდრი კოსტინი თანამდებობიდან გადადგა გამოძიების ფონზე, რომელმაც გამოავლინა, რომ ხელისუფლების ათობით წარმომადგენელმა სამხედრო გაწვევას თავი აარიდა ავადმყოფობის ყალბი ცნობის მოპოვებით და შესაბამისად, ავადმყოფობისთვის დაწესებული დახმარების მოთხოვნით.**

სამხედრო გაწვევა მწვავე თემაა უკრაინაში, სადაც არმიის რიგები შეთხელებულია ქვეყანაში შეჭრილ რუსეთის ძალებთან ორ-ნახევარ წელზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარე ომის შედეგად.

კოსტინმა გადადგომის შესახებ 22 ოქტომბერს ტელეგრამში დაწერა მას მერე, რაც უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოსთან გამართა შეხვედრა, რომელსაც პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკიც ესწრებოდა. ზელენსკის თქმით, კოსტინმა „პასუხისმგებლობა უნდა იკისროს“ კორუფციისთვის და წესებში არსებული გარღვევებისთვის, რომლებსაც გაწვევისთვის თავის ასარიდებლად იყენებდნენ.



„პრეზიდენტ ზელენსკის პოზიციას აბსოლუტურად სწორად მივიჩნევ... მე ასევე ვფიქრობ, რომ სწორი იქნება გამოვაცხადო ჩემი გადადგომა გენერალური პროკურორის პოსტიდან“, – წერს კოსტინი.

მიმდინარე თვეში გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ დასავლეთში მდებარე ხმელნიცკის რეგიონში რამდენიმე პროკურორმა ავადმყოფობის ყალბი ცნობა მოიპოვა და საგანგებო დახმარებას იღებდა. ამ საკითხზე გამოძიება უკრაინის სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობს.

უკრაინა რთულ მდგომარეობაშია რუსეთის არმიის რიცხობრივ უპირატესობასთან მიმართებით, რისი ნიშანიც იყო მიმდინარე კვირებში სამხედრო გაწვევაში მონაწილე პირების გამოჩენა კონცერტებსა და ქორწილებში – ისინი ეძებდნენ კაცებს, რომლებსაც რეგისტრაცია არ გაუვლიათ მობილიზაციის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

# სასწრაფო დახმარების ახალი შენობა ახალქალაქში



**ახალქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ოცდახუთი თანამშრომელი მუშაობას ახალ სამუშაო პირობებში გააგრძელებს.**

შენობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებით არის დაპროექტებული და სრულად ახალი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა.

მინისტრი სასწრაფო დახმარების ახალ შენობაში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორთან ნიკოლოზ ჩიქოვანთან, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან ბესიკ ამირანაშვილთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან ანტონ ობოლაშვილთან და სამველ მანუკიანთან ერთად იმყოფებოდა.

# მუხიანის დასახლებაში პროექტ რადიოქალაქის პირველი ეტაპი სრულდება

**მუხიანის დასახლებაში ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარების პროექტის პირველი ფაზა რამდენიმე დღეში დასრულდება, – განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე.**

მისი თქმით, პროექტს, რომელიც 2017 წელს ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, დედაქალაქის მუნიციპალიტეტი ბიზნესთან ერთად ახორციელებს.

„2017 წელს ჩვენი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო მუხიანის დასახლებაში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიის განვითარება. გვქონდა პროექტი, რომელსაც ერქვა „რადიოქალაქი“ და ბევრი მიმართულებისგან შედგებოდა. იქ იყო კაფეები, ბარები, შემეცნებითი და მოსასვენებელი სივრცეები, ასევე, სპორტული სივრცეები. გვინდოდა, ბიზნესს განეხორციელებინა აღნიშნული პროექტი. 2019 წელს გამოვაცხადეთ აუქციონი, სადაც გამარჯვებული კომპანია იყო შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ („აჭარა ჯგუფში“ შემავალი კომპანია), დავდეთ ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიას საკუთრებაში გადაეცა ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორია, რაშიც 23 მლნ ლარზე მეტი გადაიხადა. რა თქმა უნდა, კომპანიას თან აქვს ვალდებულებები, რა უნდა გაკეთდეს და რა პროექტი განხორციელდეს. რადიოქალაქის ტერიტორია 12 ჰექტარს მოიცავს, პროექტის ჯამური ინვესტიცია 90 მილიონ ლარამდეა, საიდანაც უკვე დახარჯულია 43 მილიონი ლარი. აღნიშნული პროექტი შედგება სამ ეტაპად. აღნიშნული პროექტის პირველი ნაწილი რამდენიმე დღეში დასრულდება. მომდევნო დღეებში ადგილზე გასვლის და დათვალიერების შესაძლებლობა გვექნება“, – განაცხადა თბილისის მერმა.

დედაქალაქის მერის თქმით, პროექტის უნიკალურობას განაპირობებს ის, რომ მისი განხორციელება თბილისის გარეუბანში შექმნის საინტერესო მიზიდულობის ცენტრს და ინოვაციურ სივრცეს.

კახა კალაძემ პროექტით გათვალისწინებული ბიზნესის განვითარებასა და დასაქმების ახალ შესაძლებლობებზეც ისაუბრა.






**სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო იზრდება. იუსტიციის სახლის 122-ე ფილიალი, რომელიც მოსახლეობას 500-მდე მომსახურებას თანამედროვე და კომფორტულ გარემოში მიაწვდის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შროშაში იუსტიციის მინისტრის მოადგილე ერეკლე ღვინიანიძემ იუსტიციის სახლის თავმჯდომარე ლაშა ლობჟანიძესთან ერთად გახსნა, – ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ცნობით, შროშის იუსტიციის სახლი აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და თანამედროვე ინვენტარით; სრულად არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს.

სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტია, რასაც ქვეყნის მასშტაბით იუსტიციის სახლები უზრუნველყოფს; 2028 წლისთვის მათი რიცხვი 133-ს მიაღწევს. რაიონული ცენტრებისაგან მოშორებით მცხოვრებ მოქალაქეებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 90 სოფელში ემსახურება ინოვაციური პროექტი „მობილური იუსტიციის სახლი“.

უშუალოდ იმერეთის რეგიონში 25 იუსტიციის სახლია, სულ მალე იგეგმება თერჯოლის ფილიალის გახსნაც, მობილური იუსტიციის სახლი კი, რეგიონის 15 სოფელს ფარავს.

იუსტიციის სახლი ქუთაისის N6 პენიტენციურ დაწესებულებაშიც ფუნქციონირებს. ფილიალების მუშაობა ციხის ტერიტორიაზე ქართული ინოვაციაა და მას ანალოგი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აქვს.

# მარიამ ლაშხი: ვერ არევთ ქვეყანას, ეს არც მანამდე გამოგსვლიათ და არც შემდგომში გამოგივათ!



**ამგვარად** გამოეხმაურა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მარიამ ლაშხი** უკრაინაში მებრძოლი ლადო გამსახურდიას განცხადებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში „რევოლუციითა და სისხლით“ იმუქრება.

**„ვერ არევთ ქვეყანას, ეს არც მანამდე გამოგსვლიათ და არც შემდგომში გამოგივათ. სახელმწიფო და „ქართული ოცნება“ – ხელისუფალი ისე, როგორც არასდროს, არის ძლიერი. ჩვენ ვნახეთ, რომ ნებისმიერი მცდელობა, ნებისმიერი ტიპის პატარა დანაშაულებიც კი თავის დროზე იყო იდენტიფიცირებული. აგრესიის გამოხატულება და რევოლუციის მოწყობა, ქვეყნის, ხალხის წინააღმდეგ არის პირველ რიგში მიმართული. მსგავსი ადამიანების ადგილი ქვეყანაში არ არის“**, – განაცხადა მარიამ ლაშხმა.



# საქართველო ევრაზიის საუკეთესო სამეულშია

მეხუთე გვერდიდან

ზრდის ტემპის მიხედვით 2029 წელს საქართველო მსოფლიოს საუკეთესო სამეულშია, მსოფლიოში არის მეორე ადგილზე და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში (ევროპა, აზია, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი) ზრდის უპირობო ლიდერია. სავალუტო ფონდის შეფასებით 2023 წელს ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს მსყიდველუნარიანი ეკონომიკა 9,9%-ით გაიზარდა და 24 849 დოლარს გადააჭარბა. 2024 წელს მსყიდველუნარიანი ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე იზრდება 10%-ით და ხდება 27 363 დოლარზე მეტი, 2029 წლისთვის კი აჭარბებს 38 744 საერთაშორისო დოლარს.

აღსანიშნავია 2012 წელთან შედარებით, ანუ 12-წლიანი ზრდის ტემპით ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს მსყიდველუნარიანი ეკონომიკა 2024 წელს მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში მეოთხე ადგილზეა, ევროპაში უპირობოდ ლიდერობს და ევრაზიის საუკეთესო სამეულშია. ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით ერთ სულზე 164%-ით იზრდება.

3. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ამერიკულ დოლარში ერთ სულზე 2029 წელს 12 734 ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს, 2020 წელთან შედარებით გასამმაგდება, 2021 წელთან შედარებით კი ორნახევარჯერზე მეტად იზრდება. საშუალოდ 10-წლიან პერიოდში 2019-2029 წელს ფონდის პროგნოზით საქართველოს ნომინალური ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე ამერიკულ დოლარში 10,4%-ით გაიზრდება. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2030 წელსაც ზრდის ამ ტემპის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს მშპ ერთ სულზე 2030 წელს გადააჭარბებს 14 050 აშშ დოლარს, რითაც მაღალი ალბათობით გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა მსოფლიო ბანკის გრადაციით(!!!).

4. ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით (**GDP PPP, current prices**) 2024 წელს უკვე გახდება 12 ნიშნა სიდიდე, გადააჭარბებს 102 მილიარდ 245 მილიონ დოლარს და ისტორიაში პირველად გადაუსწრებს ლუქსემბურგს, რომლის ეკონომიკა წელს 101 მილიარდ 876 მლნ დოლარს გაუტოლდება. 2024 წელსვე საქართველოს ექნება უფრო დიდი ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, ვიდრე ევროკავშირის წევრ 6 ქვეყანას – ლუქსემბურგს, ლატვიას, ესტონეთს, კვიპროსს, მალტას და ისლანდიას. 2029 წლისთვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 144 მილიარდ საერთაშორისო დოლარს გადააჭარბებს, 2024 წელთან შედარებით გაიზრდება 41%-ით (!), ხოლო 2019 წელთან შედარებით, ანუ 10-წლიანი გაანგარიშებით იზრდება 131%-ით.

◎ უზნეონი

# საკუთარ ბოლოშაში...

**სამამულო არჩევნებამდე და აგენტურის ჩაქვესკნელებამდე ერთი დღით ადრე კუთხეში მიყენებულმა გლობალურმა ომის პარტიამ უკანასკნელად ამოიხავლა და მორიგ სამიზნედ სამთავრობო კლიპის პერსონაჟი საამაყო ქართველი სპორტსმენები შეარჩია.**

ვინაიდან აქამდე რადიკალთა ბულინგის ადრესატები ქართული ოცნების საპარლამენტო სიის უკვდავი ნააზრევის შედეგად შთაგონებულ გენიალურ ქმნილებაში არიან წარმოდგენილნი **ოთარ კაკაბაძის, გიორგი გველესიანის, ოთარ კიტეიშვილისა** და **ლუკა ლოჩოშვილის** სახით, თანაც ამ უკანასკნელზე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური შტურმი განხორციელდა, მაგალითად, თვით ისეთი კრისტალურად სუფთა წარსულით მადლმოსილი ნაცპერსონისაგან, რამდენიმე ათასეულ შეკრებილს შორის ისეთი მძიმეწონოსანი ცნობადი ელემენტები ყელყელაობდნენ, პაატა ბურჭულაძე, ნინო ქათამაძე, ნიკა მემანიშვილი (სირცხვილით რაჭველად როგორ მოვიხსენიებ) და, არც მეტი, არც ნაკლები, აჩიკო გულედანი გახლავან (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ტელეიმედის ჟურნალისტს აყროლებული საინფორმაციო ღრუდან გადმოღვრილი სიბინძურით გაექცა), მაგრამ მათ მიმართ არავითარი აგრესია არ გამოვლენილა. რას ვიზამთ – არ გათეთრდების ყორანიო, ტყუილად როდია ნათქვამი.

დიახ, ცოტაც კიდევ მოვითმინოთ და კეისარს კეისრისა მივუზღოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა თავისუფლების მოედანზე შეკრებილი




წევრი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და მათმა უშედეგო კბენა-ღრენამ კბილები თვით ფუჭი წკავწკავის ავტორებს მოუცვითა, ამჯერად რისხვა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების იმ მოთამაშეებმა დაიმსახურეს, ვინც გიორგი ცაგაძისა და მურმან ლეგანიძის როგორიც ნანუკა ჟორჟოლიანი ბრძანდება. რაღა ეშველება საწყალ ობიექტს?!

სხვათა შორის, წინა დღეს ფართოდ რეკლამირებულ-დაანონსებულ ოპოევრომარშზე სულგაყიდულ ფსევდოდასავლელთა სრული ლუსტრაცია მოხდა და მრავალათასიანი აზვირთებული პატრიოტული ტალღის მრისხანებამ და მამულიშვილურმა პოზიციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეროვნულ ძალთა გამარჯვება გარდაუვალია!

**გია პლატონიშვილი**

## სად შეიყარა ამდენი ფლიდი...



ფოტიგა, რასა,
დენიელ ფრიდი,
სად შეიყარა
ამდენი ფლიდი?
მათ დაუმატეთ
კელი და ლინას,
დემოკრატია
მართლაც რომ
დრტვინავს...
ჯკუას გვასწავლის
ძაღლი და ღორი,
თბილისში ყველამ
იგემა ლორი.
ალბათ იკითხავთ –
მარკეტას რაღა?
ამ უბედურმა
დაისვა დამღა.
ევროპარლამენტს,
სენატს და კონგრესს,
რა გამოუღევს
ქაქანა მგოსნებს,
კარპენტერი თუ
რიში, შაჰინი,
კარგი იქნება
მოკეტონ პირი.
ჩამოწანწალდა მიხაელ
როთი,
რომ აგვიტეხოს ჩვეული
შფოთი,
ოპოზიციას დაამტვრევინოს
მაშველი რგოლი და
მხსნელი ტოტი.
ამ ზუნდესტაგის
უმცირესობამ
შემახვედრეთო ოფიციოზი,
განა არ იცის კაცების
მონამ,
რომ მოგვიმრავლდა ჩვენც
მისებრ ზოზი?
ქრისტიანობის ხილული
მტერი,
ისევე როგორც ქართველი
შტერი,
გადაშენდება ძალიან მალე
ვით ისტორიის ჯუჯყი და
მტვერი.

**ჯოჯო პირველი**

◎ ხალიჩაზე

# ალბანური მონაგარი

**ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართულ მსოფლიოს 23-წლამდელთა ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გიორგი ჩხიკვაძემ ოქროს მედალი მოიხვეჭა.**

72 კგ წონითი კატეგორიის ფინალში მან სომეხი მეტოქე შანტ ხაჩატრიანი 3:1 დაამარცხა. გიორგიმ ფინალამდე პოლონელი, ბერძენი, რუსი და ყირგიზი მოჭიდავეების დამარცხება მოახერხა.

ვერცხლის მედალი დაიმსახურა **დიეგო ჩხიკვაძემ,** რომელმაც 67 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ყირგიზ რაზაკ ბეიშეკეევთან ვერაფერი გააწყო და 1:6 წააგო.

გარდა ამისა, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **ფრიდონ აბულაძემ, დათა ჩხაიძემ, აჩიკო გოლქვაძემ** და **გიორგი ცოფურაშვილმა.**



◎ ოკეანის გაღმა-გამოღმა

# ქართულ ჰანგებზე



**13 წლის წინათ არმიამ ფიბა ევროპის თასზე გასვლითი შეხვედრა მოიგო და, აი, ამდენი ხნის შემდეგ იგივე ქუთაისმა მოახერხა, რომელმაც ჯგუფური რაუნდის მესამე ტურის მატჩი ბულგარეთში ორი წაგების შემდეგ გამარჯვებით დაასრულა ბალკანთან – 86:78. აღსანიშნავია, რომ ორივე ქართულმა კლუბმა წარმატებას კოტე ტულუშის თავკაცობით მიაღწია.**

სტუმართაგან ორმაგი დუბლი **გიორგი კორსანტიამ** შეასრულა – 27 ქულა, 11 მოხსნა. მეორე წრის სტარტზე რიონისპირელები სლოვაკურ პრევიზას უმასპინძლებენ.

იმავე დღეს ნავი გატეხა **თორნიკე შენგელიას** ვირტუსმა, რომელმაც ევროლიგის რეგულარულ სეზონში ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ ბელგრადში პარტიზანს სძლია – 70:69. მძაფრი ბრძოლის ბედი უკანასკნელ წამებზე გადაწყდა და, ტრადიციისამებრ, პარტნიორებს სერბთა დაჩოქებაში ღირსეული პირადი მონაგრით სწორედ ჯვაროსანთა კაპიტანი შეეშველა – 8 ქულა, 3 მოხსნა და 1 ასისტი.

ისტორიული ფაქტით გაიხსნა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი ჩემპიონატი – ლოს ანჯელეს ლეიკერსის შემადგენლობაში პირველად ითამაშა მამა-შვილ ჯეიმსების წყვილმა და მეფე ლებრონმა 16 ქულა ჩაიწერა აქტივში, მისმა ვაჟმა ბრონიმ კი – 2 წუთში 1 მოხსნა, ხოლო თვით მატჩი მინესოტასთან კალიფორნიელებმა ენტონი დევისის ლიდერობით 110:103 მოიგეს.

რაც შეეხება ნბა-ს მოქმედ გვირგვინოსანს ბოსტონს, მას არ გასჭირვებია ნიუ იორკის გადათელვა – 132:103. ფავორიტს ტეიტუმმა 37 ქულა შესძინა, ბრაუნი კი 7 მოხსნით გამოირჩა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

# ელიტური სამბა

**ხვალ ესპანეთში ელ კლასიკოა, რომელსაც ორივე იქაური გრანდი მოჭარბებული ემოციით ხვდება, რადგან თითოეულმა ბუნდესლიგის ბობოლები, განსხვავებული სცენარით, მაგრამ მაინც მტკივნეული შედეგით დასცა, თანაც ბრაზილიელ ვარსკვლავთა ძალისხმევით.**

**რეალი – დორტმუნდი 5:2 (0:2-ის შემდეგ).** ჰეთ-თრიქი შეასრულა ოქროს ბურთის მოპოვების მთავარმა პრეტენდენტმა ვინისიუსის ჟუნიორმა.

**ბარსელონა – ბაიერნი 4:1.** კატალონიელთაგან ასევე 3 ზუსტი დარტყმით რაფინიამ გაიბრწყინა, მათ შორის ანგარიშის პირველივე წუთზე გახსნით.

რაც შეეხება ახალი ფორმატით მიმდინარე ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის საერთო სურათს, ჯერჯერობით აღსანიშნავია ქულათა მაქსიმუმით გალიდერებული პრემიერლიგისა (ლივერპული, ასტონ ვილა) და საფრანგეთის ლიგა 1-ის (7-ქულიანი სენსაციური დებიუტანტი ბრესტი და ლილი) წარმომადგენელთა წარმატებული სტარტი, კონკრეტულად მესამე რაუნდში კი მოულოდნელი გახლდათ რამდენიმე შედეგი: იუვენტუსი – შტუტგარტი 0:1, ატლეტიკო – ლილი 1:3, ბენფიკა – ფეიენოორდი ასევე 1:3.

ჩვენ ბუნებრივია განსაკუთრებით ქართველ ლეგიონერთა გუნდების შეხვედრები გვაინტერესებს, რომლებსაც ამჯერად ხელი (ფეხი) მოეცარათ: შტურმი – სპორტინგი 0:2, ჟირონა – სლოვანი 2:0, არსენალი – შახტარი 1:0.

**ამერიკის მლს-ის პლეი-ოფი:** ატლანტამ პენალტების სერიაში მონრეალს სძლია და მორიგ ეტაპზე ლეო მესის მაიამის შეხვდება. დავძენთ, რომ გამარჯვების პენალტი **საბა ლობჟანიძემ** გაიტანა.



# გიწვევთ საჩხერის ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია




**ახალი ინფრასტრუქტურა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ივანაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ გაგა დარბაიძემ, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაია კვიციანმა, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრმა მარიამ ლაშხმა დაათვალიერეს.**

სტუმრებს ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ დამფუძნებელმა სოფიო მაჭარაშვილმა და აკადემიის საჩხერის ფილიალის ხელმძღვანელმა ილია იაკობაშვილმა უმასპინძლა.

სოფიო მაჭარაშვილის განმარტებით – თანამედროვე სტანდარტებით აგებული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 5 000 000 ლარი დაიხარჯა. გარემო სტუდენტის ყველა საჭიროებებზეა მორგებული, სადაც ასევე იფუნქციონირებს კვლევითი ლაბორატორია და სტუდენტებისთვის საცხოვრებელი.

აკადემიაში სწავლა შემდეგ სპეციალობებზე მიმდინარეობს: ფარმაცია, საექთნო საქმე, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები, ვებტექნოლოგიები, ინფორმაციის ტექნოლოგია. ყველა პროგრამა და სასწავლო პროცესი სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.

სასწავლებელში ასევე ფუნქციონირებს ქართული სტუმარ-მასპინძლობის სკოლა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ბართენდერი (ბარის ყოველდღიურ გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი), რესტორნის მომსახურე პერსონალი (მიმტანი), სასტუმროს დასუფთავების პერსონალი, სასტუმროს მასპინძელი (მიღება-განთავსება), ქართული და საერთაშორისო კერძების მომზადება.

სწავლა ყველა პროგრამაზე აქაც სრულიად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

პროექტი USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მხარდაჭერით განორციელდა.

# ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული



**26 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას დღესასწაულობს.**

ხსენებული ხატის დღესასწაული წელიწადში რამდენჯერმეა.

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842 წწ.) ბიზანტიის იმპერიაში ხატ-მებრძოლობის საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ მათ.

ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქალი. ის ქვრივი იყო. ქვრივის სახლში მხედრებმა იპოვეს ეს გადამალული ხატი და ერთ-ერთმა მხედართაგანმა „მახვილი დასცა მას პირსა ხატისა“.

...მოხდა სასწაული ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე. დილით კი, მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ ზღვაში ჩაუშვა. წმინდა ხატი დასავლეთისაკენ გაემართა.

ერთხელ, მიმწუხრისას ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე შენიშნეს ნათელი სვეტი. ნათელი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ როცა ვინმე მიუახლოვდებოდა, ხატი ნაპირს შორდებოდა.

გაბრიელ იბერიელმა შეძლო ღვთისმშობლის ხატის ზღვიდან ამობრძანება! ის ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაავანეს. ...მაგრამ მეორე დღეს გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ის კვლავ ჩამოაბრძანეს და საკურთხეველში შეაბრძანეს, ასე რამდენჯერმე განმეორდა.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

გიული ლიპარტია




# ტრაგედია წალენჯიხაში

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში ავტოსაგზაო შემთხვევას არასრულწლოვანი ემსხვერპლა. მსუბუქი ავტომობილი ბავშვს იმ დროს დაეჯახა, როცა ის ქუჩას კვეთდა. არსებული ინფორმაციით, ავტომანქანის მძღოლმა მომხდარის შემდეგ თვითდაზიანება მიიყენა და მისი მდგომარეობა მძიმეა.**

სამეგრელოში მომხდარი ტრაგედიის შესახებ წერს ქ. ჯვარის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი გერონტი გოგოხია. როგორც ირკვევა, გარდაცვლილი მოზარდი მე-3 კლასის მოსწავლე ნიკოლოზ სალიაა.

# ოთხი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

**მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, დაახლოებით 02:00 საათზე, კოდა-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 67-ე კილომეტრზე წალკიდან სოფელ კოდის მიმართულებით მოძრავი „ფორდის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც 1979 წელს დაბადებული ი.გ. მართავდა, მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ორი მსუბუქი ავტომანქანიდან გადმოსულ ოთხ მოქალაქეს შეეჯახა.**

შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებებით სამი პირი შემთხვევის ადგილზე, ხოლო მეოთხე კლინიკაში გარდაიცვალა. დანაშაულში ბრალდებული ი.გ. დაკავებულია.




# 320 000 ტონა ყურძენი – ქართული სოფლის მთავარი ქირნახული

**ღვინის ეროვნული სააგენტო: 2024 წელს რთველის ფარგლებში გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობის – 320 ათას ტონამდე ყურძენი.**

„მიმდინარე წლის მოსავალი, რაოდენობასთან ერთად, გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. ღვინის კერძო სექტორი ორიენტირებული იყო ხარისხიანი ყურძნის შეძენაზე და შესაბამისად, მიმდინარე წლის მოსავლის ღვინოებიც იქნება გამორჩეული, მრავალფეროვანი და ხარისხიანი.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოსავალი სრულად დაბინავებულია. ყურძენი ღვინის საწარმოებს 21 300-მდე მევენახე ფერმერმა ჩააბარა.

მევენახეობის მთავარ რეგიონებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გადამუშავდა 291 ათას ტონამდე ყურძენი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 390 მილიონ ლარს მიაღწია.

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, წელს მოსავლის დაბინავება როგორც კახეთში, ისე რაჭა-ლეჩხუმში ნაადრევად დაიწყო: კახეთში 13 აგვისტოდან, რაჭაში 23 სექტემბრიდან და ლეჩხუმში 4 ოქტომბრიდან. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში და რაჭაში რთვლის პიკური პერიოდი დროში ერთმანეთს ემთხვეოდა, საორგანიზაციო შტაბის მიერ უზრუნველყოფილი იყო მოსავლის შეუფერხებელი დაბინავება. ყურძნის გადამუშავების პროცესში, ჯამში, ჩართული იყო 600 ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანია, საშუალო და მცირე მარანი.

რთვლის პერიოდში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 100-მდე ახალგაზრდა ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმა. შერჩეულ კანდიდატებს სპეციალური ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა რთვლის საკოორდინაციო შტაბში ჩაუტარეს.

აღსანიშნავია, რომ რთვლის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული და დაზუსტებული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია“.




# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - თელავის მუნიციპალიტეტში მდ. სტორზე დაგეგმილი „სტორი 1 ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 12 ნოემბერი, 13:00 საათი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშაველის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.



თანამედროვე ფოლკლორი

# ნიკოფსით დარუბანდამდე

### ბიძინა ივანიშვილს

ამხედრებული ტატოს მერანზე,
განკვეთას ლამობ უკუნეთისას,
შენი ოცნება, ქართველთ ოცნება
– ენა, მამული, სარწმუნოება,
სამი ასეთი საუნჯე,
ბოძებულ წინაპრისაო,
არ განიყოფის ვითარცა
მამა, ძე, სულიწმიდაო,
სამება, ჩვენი სამება,
დამთრგუნველ სიკვდილისაო,
შემდგარი ლაშარის გორზე,
დიდ ვაჟას გასახარადა,
ყმას ვხედავთ ოქროს აკვნიდან
ბაზალეთისა ტბიდანა,
მე არც მოსე ვარ, არც შოთა,
არცა ვაჟა და ილია,
თუმც იმათ ტყვეობაში ვარ,
მათი მსგავსება მწყურია,
ძილშია გველის მჭამელი,
აღარ მანებებს თავსაო,
ის არის ვისაც ეძებდით
და ვისაც დაეძებთაო,
გარს შემოერტყით ბიძინას
როგორც კაცს სალის კლდისაო,
ვერ დაკორტნიან ყორანნი,
რკინაა ჯუღაისაო,
მოვიხსენიებ იმათაც,
ვისიც არ მინდა ხსენება,
ჭკუითა მოღრეცილებსა,
უგვანოითა გვარისა,
ენითა გესლიანთათა
ნუ გეშინიათ, არ გავნებთ
ბიძინას დიდკაცობაო,
ის ააყვავებს მამულსა,
როგორც ეს მისი ზნეაო.

✦ ✦ ✦

ბერსა ბიჭუნას, რაჭველსა
მამინდა შენი ქებანი,
საქმის კეთილის მკეთებელს
არ მოგეშლება ქებანი,
შენი საქმენის შემყურეს
ტვინს არ დამჭირდა ჭყლეტანი.
უფლის ხელით ხარ დასმული,
ამას არ უნდა ჭოჭმანი,
ნიკოფსით დარუბანდამდე,
არც ამას უნდა ჭვრეტანი...

**ბერი ბიჭუნა რაჭველი**
**ონი, სოფ. ხირხონისი**

# ახალი ბინები ავარიულების ნაცვლად



**სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში, მესამე მასივის მე-7 კვარტალის მე-12 კორპუსის მობინადრეებს გუშინ ახალი სახლის გასაღები გადაეცათ.**

მათ სიტყვით მიმართა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, რომელმაც პროგრამის მიზანზე და წინაპირობებზე ისაუბრა.

მანვე მადლობა გადაუხადა სამშენებლო კომპანია „ბიქეი კონსტრაქშენს" თანამშრომლობისთვის.

პროგრამის ფარგლებში, აღნიშულ მისამართზე ავარიული 4-სართულიანი შენობის ნაცვლად 10-სართულიანი, თანამედროვე სტანდარტების მქონე საცხოვრებელი სახლი აშენდა. გარდა ამისა, კომპლექსურად მოწესრიგდა როგორც ამხანაგობის საკუთრებაში არსებული კორპუსის ეზო, ასევე მიმდებარე ტერიტორია. გარდა ამისა, განახლდა მოძველებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, პრობლემებს უქმნიდა მოქალაქეებს.

# უცხოელი მოგზაურები საქართველოსა და კავკასიაში

**ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილია წიგნები მოგზაურობების შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდიდან.**

წიგნის მუზეუმში გამოფენილია გამოცემები ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918წწ.) კოლექციიდან: ფრიდრიხ ბოდენშტატის „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის რუსების წინააღმდეგ"; ისტორიკოსის, ალპინისტის, ეთნოგრაფის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის გოთფრიდ მერცბახერის „კავკასიის მაღალმთიანეთი"; რობერტ პორტერის „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთში და ძველ ბაბილონში". ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გაფორმებულია ავტორის ილუსტრაციებით.





დამთვალიერებელი გამოფენაზე ასევე ნახავს ალექსანდრე დიუმას „კავკასიას", დაბეჭდილს ფრანგულ ჟურნალში მანამდე, სანამ წიგნად გამოვიდოდა.

წიგნის მუზეუმში მოწყობილ ექსპოზიციაზე მოგზაურთა გამოცემების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში კი ინახება ისეთი გამორჩეული ეგზემპლარები, როგორიცაა არქანჯელო ლამბერტის „მოგზაურობა კოლხეთში". ეს გამოცემა, გარდა შინაარსისა, უნიკალურია იმითაც, რომ გაფორმებულია ფრედერიკო კასტელის ხელით შესრულებული ილუსტრაციებით, რომელთა შორისაა ლევან დადიანის პორტრეტი და ოდიშის რუკა; ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს „მოგზაურობა კავკასიაში", რომელსაც ახლავს ატლასი საქართველოს გრაფიკული გამოსახულებით, არქიტექტურული ძეგლებით, რომელთა შორისაა ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ატენის სიონი, შემოქმედის ეკლესია გურიაში.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ატლასები, სადაც შესულია ნახატები, რუკები, ცხრილები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობებს ასახავს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოცემაა ჟან შარდენის „მოგზაურობა სპარსეთში", რომელიც კავკასიიდან დაიწყო და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თბილისს. ატლასში ჩვენი დედაქალაქის გრაფიკული გამოსახულებაც არის შესული.

# თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია...




**ინდური ავიაკომპანია Vistara-ს საბორტო ჟურნალი მგზავრებსა და გამოცემის ონლაინ მკითხველებს საქართველოში დასვენებას ურჩევს. ჟურნალის წარმომადგენლებს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პრესტურის ფარგლებში უმასპინძლა და საქართველოს ტურისტული პოტენციალი გააცნო.**

სტატიაში საოჯახო დასვენებისთვის მსოფლიოს 7 საუკეთესო მიმართულებაა წარმოდგენილი. თბილისი შემდეგ მიმართულებებს შორისაა: ლოს-ანჯელესი(აშშ), სინგაპური, მიუნხენი (გერმანია), პარო (ბჰუტანი), ოკავანგო დელტა(ბოტსვანა) და ჯაისამლერი(ინდოეთი).

თბილისზე საუბრის დასაწყისში, ჟურნალისტები ტაძრებს, ქვაფენილიან ქუჩებსა და მიმზიდველ კაფეებს ქალაქის იდენტობის ნაწილად მიიჩნევენ. ავტორები მკითხველს უზიარებენ საინტერესო მარშრუტებს: „ბავშვიან წყვილებს შეუძლიათ ანჩისხატის ტაძრიდან დაიწყონ ფეხით სეირნობა, გაიარონ გუდიაშვილის მოედანი და სიყვარულის ხიდამდე მივიდნენ", – ვკითხულობთ სტატიაში. მედიის წარმომადგენლები განსაკუთრებულად გამოარჩევენ ფუნიკულიორიდან და რიყის პარკის საჰაერო ბურთიდან გაშლილ ქალაქის ხედებს. ინდოელ ჟურნალისტებს არ გამორჩენიათ ლეღვთახევის ჩანჩქერისა და გოგირდის აბანოების მოხსენიებაც. „თბილისური თავგადასავალი დააგვირგვინეთ საუცხოო ხაჭაპურით, კერძებით სავსე გობით და ადგილობრივი ღვინით".

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ავიაკომპანია **Vistara**-ს შერწყმა ინდოეთის უმსხვილეს ავიაკომპანია **IndiGo**-სთან.

**IndiGo** თბილისის მიმართულებით რეგულარულ რეისებს დელიდან ასრულებს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7157; ევრო - 2.9273;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5225;**
**100 რუბლი - 2.8101; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.5971;**
**1000 სომხური დრამი - 7.00124.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 28 ოქტომბერს**